პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 299 (5400) | შაბათი, 31 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

გუშინ თბილისის საწარმოებში დიდი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა მიტინგები, რომლებზედაც განხილული იქნა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

თბილისის მშრომელები მხურვალედ ესალმებიან ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც უდიდეს როლს ითამაშებს სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

განვამტკიცოდ შრომის დისციპლინა ყველა წარმოება-დაწესებულებაში!

სახელოვან გამარჯვებათა წელი

სოციალიზმის ქვეყანამ ბრწყინვალედ დაამთავრა კიდევ ერთი წელი, ათას ცხრაას ოცდათვრამეტი წელი — მეტად მდიდარი ღირსშესანიშნავი მოვლენებით.

ჩინებულად იმუშავეს ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა ადამიანებმა — სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, არმიის, ავიაციის, მეცნიერების, ხელოვნების ადამიანებმა.

1938 წელი, ისევე როგორც სტალინური ხუთწლედების წინა წლებიც, წარმოადგენდა ბოლშევიზმის ახალ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა წელს, სოციალიზმის ტრიუმფალური წინსვლის წელს.

ახალ წელს კაპიტალისტური სამყარო აშკარა კატასტროფიულ მდგომარეობაში ხვდება. სისხლიანი ფაშიზმი კვლავ ომის მაშხალით დაძრწის. 1938 წელი იქ აღინიშნა გამძაფრებული ახალი ეკონომიური კრიზისით, მეორე იმპერიალისტური ომის გაშლით, უმუშევართა არმიის ზრდით, მშრომელთა გაღატაკებით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერთხელ კიდევ ამაყად წარსდგება მსოფლიოს წინაშე, როგორც პროგრესისა და ცივილიზაციის ქვეყანა, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის ძლევამოსილი ქვეყანა.

სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებმა, ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის ნოვატორებმა, ქვეყნის სტალინურმა შევარდნებმა, ხელოვნების, არმიის წარჩინებულმა ადამიანებმა წელსაც გვიჩვენეს უმაგალითო გმირობის, სიმამაცისა და დიდი შემოქმედებითი მუშაობის საუცხოო ნიმუშები.

სოციალიზმის ქვეყანამ წელსაც დაანახვა მთელ მსოფლიოს თავისი ძლევამოსილება, საბჭოთა ხალხის უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, უსაზღვრო სიყვარული ბოლშევიკების პარტიისადმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

პარტიამ სახელოვან შინსახკომელთა მეშვეობით გაანადგურა სოციალიზმის უბოროტესი მტრების ძირითადი ბუდეები, გაანადგურებს მათ საზიზღარ ნაბოლარებსაც.

1938 წელმა კაცობრიობის მიღწევათა ისტორიაში ჩასწერა იმ ბრწყინვალე გამარჯვებათა ფურცლები, რომელთაც ჩვენს სამშობლოს მსოფლიოში დიდება და სახელი მოუხვეჭეს. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა, რომელიც მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით ჩატარდა, კაშკაშა შუქით გაანათა მთელი 1938 წელი.

სწორედ 1938 წელში დამთავრდა ბრწყინვალე გამარჯვებით გმირ პაპანინელთა სახელოვანი ეპოპეა, რომელთაც 9 თვე დაჰყვეს მოდრეიფე ყინულზე და სასახელოდ შეასრულეს პარტიისა და მთავრობის ფრიად პასუხსაგები დავალება, დავალება, რომელმაც განუმტკიცა საბჭოთა ქვეყანას ბატონობა არქტიკის უნაპირო სივრცეებზე.

სწორედ 1938 წელში გვიჩვენა ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ თავისი გმირობა და სიმამაცე ხასანის ტბის მიდამოებში იაპონელ სამურაებთან ბრძოლაში.

სწორედ 1938 წელში დაანახვა ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს ერთხელ კიდევ თავისი სიმამაცე, თავისი გმირობა და შეუდრეკელობა.

სწორედ 1938 წელში დაანახვეს სოციალისტურ სამშობლოს ამაყმა პატრიოტებმა მსოფლიოს, რომ ქვეყანა, რომელსაც ჰყავს წითელი არმია, ქვეყანა, რომელსაც აქვს სტალინური ავიაცია, ქვეყანა, რომელსაც მილიონობით ჰყავს გმირები, ქვეყანა, რომელსაც წინ მიუძღვის ბრძენი ბელადი — დიდი სტალინი, ჭეშმარიტად უძლეველია.

სწორედ 1938 წელი აღინიშნა ვ. გრიზოდუბოვას, პ. ოსიპენკოს, მ. რასკოვას გმირული გადაფრენებით. სოციალისტური სამშობლოს სამმა მამაცმა ქალმა ბრწყინვალე გამარჯვების ფურცელი ჩასწერა მსოფლიო ავიაციის ისტორიაში.

ამ გამარჯვებებმა დიდების შარავანდედით შემოსა სტალინური ეპოქის ეს გმირი ქალები.

სწორედ 1938 წელში მიიღო ჩვენმა ქვეყანამ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითად ცოდნათა ენციკლოპედია — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი — შესანიშნავი სტალინური სახელმძღვანელო ჩვენი კადრების იდეურად გამოწრთობისათვის, ბოლშევიზმის დაუფლებისათვის.

1938 წლის მიწურულში ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ახალი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესების და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ — რომელიც კოლოსალურ როლს ითამაშებს კომუნიზმის შემდგომ გამარჯვებათა მოპოვებაში.

1938 წელი წარმოადგენდა ორდენოსანი საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის თვალსაჩინო ამაღლობის წელს. ქარხნებმა და ფაბრიკებმა გაადიდეს პროდუქციის გამოშვება, მთელმა რიგმა მოწინავე საწარმოებმა ვადაზე ადრე შეასრულეს წლიური საწარმოო გეგმები. გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი, უფრო ბარაქიანი და ხვავიანი გახდა საკოლმეურნეო სოფელი.

ორდენოსანმა საქართველომ წელს სოციალიზმის ქვეყანას ჩააბარა 243.997.000 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი და 35 მილიონი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

წელს შრომადღის ანაზღაურება კოლმეურნეობებში გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 26 პროცენტით.

სოციალისტური ინდუსტრიის მწყობრში შევიდნენ ახალი საწარმოები: ენგურის ქაღალდის კომბინატი, ტყვარჩელის ელექტროსადგური, შეიქმნა ახალი კულტურული კერები და სხვ.

ჩვენი ქვეყნის საწარმოებიდან, გიგანტებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან, მაღაროებიდან, ციტრუსოვან მცენარეთა პლანტაციებიდან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს უგზავნიან პატაკებს დიად გამარჯვებათა შესახებ.

სოციალიზმის ქვეყანა ზეიმობს სამეურნეო წლის ბრწყინვალედ დამთავრებას.

სოციალიზმის ქვეყანა სიხარულით აღვსილი ხვდება ახალ წელს— ჩვენი ინდუსტრიის, მიწათმოქმედების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის შემდგომი აყვავების წელს.

ხვალ ახალი წელია, ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წელი.

ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი ხალხი, ჩვენი ბედნიერი ბავშვები ზეიმით აღნიშნავენ ახალ წელს. საახალწლო ნაძვის ხეებთან მხიარულად ამღერდებიან ჩვენი ბავშვები და ამ მგრძნობიარე სიმღერებში კვლავ ჩააქსოვენ ღრმა მადლობის გრძნობას იმ ადამიანისადმი, ვინც შექმნა საამური ცხოვრება.

პირველ საახალწლო მილოცვას ორდენოსან საქართველოს ბედნიერი ხალხი გაუგზავნის მას, ვინც შეგვიქმნა კაშკაშა და ბარაქიანი ცხოვრება, ვისაც მიჰყავს საბჭოთა ქვეყანა კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვების გზით—ჩვენს მშობლიურ **სტალინს.**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 20 წლისთავის დღეს რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სახელით, ძმურ მგზნებარე სალამს უძღვნის საბჭოთა ბელორუსიის მშრომელებს.

ოცი წლის წინათ, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ბელორუსიის მუშებმა და გლეხებმა, რომელნიც საბოლოოდ განთავისუფლდნენ ცარიზმისა და რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხრით ნაციონალური ჩაგვრისაგან, გაანადგურეს ბელორუსიის ნაციონალისტური კონტრრევოლუცია და შექმნეს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ანხორციელებდნენ რა ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, საბჭოთა ბელორუსიის მშრომელებმა განვლილ პერიოდში მაღალ დონეს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში და დიდი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე აშენებენ შეძლებულ, კულტურულ და ბედნიერ ცხოვრებას.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ბელორუსიის მშრომელებს შემდეგშიც მაღლა ეჭირებათ სსრ კავშირის ხალხთა ძმური კავშირის ურღვეობისათვის, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და მისი საზღვრების ხელუხლებლობისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშა.

გაუმარჯოს ბედნიერ ბელორუს ხალხს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირის ყველა ხალხებს!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს საყვარელ სტალინს!

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. ბადაევი.
რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კოზლოვი.

შრომა სსრ კავშირში—ღირსების საქმეა

ვმუშაობთ სამშობლოს საკეთილდღეოთ

ჩვენს ქვეყანაში მშრომელი მასები სამუდამოდ განთავისუფლებული არიან სილატაკისა და უმუშევრობისაგან. შრომა ჩვენში ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმედ გადაიქცა. ვმუშაობთ რა სოციალისტურ ფაბრიკებში, ჩვენ ვმუშაობთ ჩვენთვის, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სიმდიდრეთა გამრავლებისათვის. აი რატომ მონაწილეობენ მილიონობით ადამიანები სოციალისტურ შეჯიბრებაში და რატომ იბრძვიან ისინი შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

მაგრამ არიან კიდევ შეუგნებელი მუშები, რომლებიც ცდილობენ წაჰგლიჯონ სახელმწიფოს და ხალხს ფული რაც შეიძლება მეტი, ხოლო იმუშაონ ნაკლები.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილება მკვეთრ ზღვარს სდებს პატიოსან მუშაკთა და მუქთახორათა შორის. ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ მუშები და მუშა ქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი მხურვალედ ესალმებიან ამ დადგენილებას. ამიერიდან ყველა უპირატესობით ისარგებლებენ ისინი, რომლებიც პატიოსნად და ერთგულად შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

(ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნოე ზნამიას“ დილის ცვლის საამქრო მიტინგებზე მიღებული რეზოლუციიდან. დაესწრო 1.000 კაცი).

ლენინგრადი, 29 დეკემბერი.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი

დონბასის მაღაროელები სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ისტორიული დადგენილებით ახალი ეტაპი იწყება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში, ისეთი ნაყოფიერებისა, რომელიც შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში.

ამჟიდროებენ და რაზმავენ რა საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობისათვის, პარტია და მთავრობა კიდევ უფრო აძლიერებენ შრომის მნიშვნელობას, შრომისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ გადაიქცა.

ჩვენი კომბინატის ქვანახშირის შახტებისა და ტრესტების ხელმძღვანელების წინაშე ამჟამად დასახულია საბრძოლო ამოცანა: დამკვრელებმა ბოლშევიკურად მოჰკიდონ ხელი პარტიისა და მთავრობის დირექტივის შესრულებას და ამ საფუძველზე მიაღწიონ სტახანოვური მოძრაობის ახალ აღმავლობას, ქვანახშირის ამოღების გადიდებას.

„ვოროშილოვგრადუგოლის“ კომბინატის უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი მირონ დიუკანოვი.

ვოროშილოვგრადი, 29 დეკემბერი.

საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება ასახავს ჩვენი სამშობლოს ყველა პატიოსანი მშრომელის ნება-სურვილს. ჩვენ ამ დადგენილებას მოუთმენლად მოველოდით. ეს დადგენილება ბოლოს მოუღებს უნიათობას და დაუდევრობას წარმოებაში, რის გამოც სახელმწიფო ასეული მილიონობით სამუშაო დღეს და მილიარდობით მანეთს ჰკარგავდა.

დადგენილება სარკესავით ასახავს ჩვენი მთავრობისა და პარტიის მზრუნველობას ერთგულ და პატიოსან ადამიანებზე, რომელთათვის შრომა არის ღირსების საქმე, დიდების საქმე, გმირობისა და მამაცობის საქმე. ასეთი ადამიანები კი დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ჩვენს ქარხანაში 800-მდე მუშა ითვლება, რომლებიც 2-3 ნორმას ასრულებენ. ეს ადამიანები თავისი პირადი მაგალითით შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშს იძლევიან.

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ჩვენს მთავრობას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურ საბჭოს და პირადად ამხანაგ სტალინს, რომ შეჭრენკოლლები ყოველ ღონეს იხმარენ, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას გამოიყენებენ, რათა ჩვენს ქვეყანას მისცენ საუკეთესო ხარისხის რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, შეასრულონ და გადამეტებით შეასრულონ საწარმოო პროგრამა.

ხარკოვის შევჩენკოს სახელობის საფეიქრო მანქანათმშენებლობის ქარხნის მექანიკურ- საამწყობლო საამქროს მიტინგის მონაწილეთა დავალებით:

მერევოლვერე სტახანოველი ქალი —მ. ფ. ჩუხლატაია, სტახანოველი მრანდავი — მიტკალევი, სტახანოველი ზეინკალი ანიკინი, გამმართავი სტეპანენკო, სახარატო უბნის უფროსი — გოლოვკო, საამწყობლო უბნის ოსტატი ზადოროჟნი.

ხარკოვი, 29 დეკემბერი.

თბილისის მშრომელები მხურვალედ ესალმებიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას

30 დეკემბერს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ყველა საამქროში შესდგა საერთო კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებისადმი „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

კრებებს დაესწრო პირველი ცვლის ყველა მუშა. კრებები უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა. მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები დადგენილებას მხურვალე მისალმებით, მქუხარე ტაშით შეეგებნენ.

ქარხნის სამმართველოს ინჟინერმა ამხ. მგელაძეშვილმა, მიესალმა რა დადგენილებას, განაცხადა:

— დადგენილებამ ასახა სტალინური ზრუნვა, რომლითაც ჩვენში გარემოცულია ყველა პატიოსანი, წარმოებისა და სამშობლოს ერთგული მუშა და მოსამსახურე, რომელნიც დაუღალავად იბრძვიან შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

— ეს დადგენილება, — ამბობს შემკრები საამქროს ოსტატი ამხ. სამთელაძე, — წარმოადგენს ბასრ იარაღს ფრენიებისა და წარმოების დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ისწრაფვის ნაკლები მისცეს სახელმწიფოს, ხოლო თვითონ მეტი გამოჰგლიჯოს მას. უკვე რამდენიმე დღეა სტახანოველები პრესაში და კრებებზე იხილავენ იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საჭირო წესრიგის დამყარებასთან წარმოებაში. დღეს კი ჩვენს საამქროში სამუშაოზე არ მოსულა და დაიგვიანა 6 მუშაკმა. გამცდენებს და ფრენიებს დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. წარმოების ბოროტ დეზორგანიზატორებს წარმოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. დღეს მილიონობით მუშები მიესალმებიან ამ დადგენილებას. იგი განამტკიცებს შრომის დისციპლინას, აღზრდის მამაც, პატიოსან მუშაკთა ახალ კადრებს, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა შემდუღებელი საამქროს უფროსმა ამხ. იუზბაშევმა.

სამგზავრო ვაგონების საამქროს ზეინკალმა ამხ. ასტვაცატუროვმა განაცხადა:

— დადგენილება განსაკუთრებული სიზუსტით გვიხატავს დისციპლინის მდგომარეობას საწარმოებსა და დაწესებულებებში. ჩვენს საამქროშიც, პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკებთან ერთად, მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც მეტი ფულის მიღებით გატაცებულნი, არღვევენ წესრიგს, ახდენენ წარმოების დეზორგანიზაციას. საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაკები დადგენილებას წარმოებაში ახალ წარმატებათა მიღწევით უპასუხებენ.

— სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ხუთიათასიანი კოლექტივი,—ნათქვამია კრებებზე მიღებულ რეზოლუციაში,—მხურვალედ ესალმება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას, რომელიც მიმართულია შრომის სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებისაკენ. ჩვენ ვალდებულებას ვკისრულობთ მთელი ძალღონე მოვახმაროთ იმას, რათა ბოლომდე ვამხილოთ და განვდევნოთ ჩვენი წრიდან ცუღლუტები, გამცდენები, წარმოების დეზორგანიზატორები, ჩავუნერგოთ ქარხნის ყველა მუშაკს დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გრძნობა. მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ქარხნის სამმართველოსაგან მოითხოვენ, რათა მან ზუსტად და სრულად შეასრულოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება, შრომის დისციპლინის შესახებ გამოქვეყნებული ისტორიული დადგენილების საფუძველზე დაუზოგავად აღკვეთოს დაუდევრობის ყოველგვარი გამოხატულება და მიაღწიოს სოციალისტური დისციპლინის დამყარებას ქარხანაში.

○

თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის პირველი და მეორე ცვლის 1000-ზე მეტი მუშა, მოსამსახურე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

ფაბრიკის კოლექტივმა დიდი კმაყოფილების გრძნობით მოისმინა ამხ. ლიაშენკოს ინფორმაცია ამ დადგენილების შესახებ.

ამხანაგებმა — სტახანოველმა ჩიკვაიძემ და მეორე საამქროს უფროსმა ოჯანეზოვმა, ეკონომისტმა ლოლუამ და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ პარტიის, მთავრობისა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება განამტკიცებს შრომის დისციპლინას, იგი მკვეთრად ანსხვავებს ერთმანეთისაგან პატიოსან მუშაკებსა და ფრენიებს, ცუღლუტებს, წარმოების დეზორგანიზატორებს.

ლაპარაკობს პირველი საამქროს სტახანოველი ელენე საპელნიკოვა:

— მე, 61 წლისა ვარ, ამ ფაბრიკაში 6 წელია ვმუშაობ და არც ერთი დაგვიანება, არც ერთი გაცდენა არა მქონია. მთელი სულითა და გულით მივესალმები ამ დადგენილებას. პარტია, მთავრობა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭო არა მარტო მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ფრენიებსა და გამცდენებს, არამედ ყურადღებითაც მოსავენ ძველ, კადრის მუშებს.

— ჩვენს ფაბრიკაში,—ამბობს მეორე საამქროს უფროსი ამხ. ოგანეზოვი, — ადმინისტრაცია ლიბერალურად ეპყრობოდა გამცდენებსა და წარმოების დეზორგანიზატორებს. დადგენილება გვავალებს ჩვენ ახლებურად ვიმუშაოთ, ვინაიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრება ადმინისტრაციასაც.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის კოლექტივი აღნიშნავს, რომ:

„ეს დადგენილება სავსებით შეესაბამება მუშათა და მოსამსახურეთა იმ წინადადებებს, რომლებიც მათ გამოსთქვეს პრესაში და ასეულ კრებებზე იმის შესახებ, რომ აუცილებელია შრომის დისციპლინის მოწესრიგება. პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაკები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებაში ჰპოულობენ საიმედო და მტკიცე დაცვას თავისი ინტერესებისას, რომლებსაც არღვევენ ფრენიები, ცუღლუტები, გამცდენები და წამგლეჯები“.

○

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარკის კოლექტივი ერთსულოვნად შეიკრიბა სახელდახელო მიტინგზე, რათა გაეცნობოდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

გამოსულმა ამხანაგებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის, მთავრობისა და პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება.

გამოსულმა ამხანაგებმა: დ. ოქუაშვილმა, შ. მაცაბერიძემ, მხიტარიანმა, კ. თოდრიამ, გ. მატინოვმა და სხვებმა სიხარულითა და აღტაცებით აღნიშნეს, რომ ეს დადგენილება უზრუნველჰყოფს ნორმალურ მუშაობას საწარმოებსა და დაწესებულებებში, იგი განამტკიცებს შრომის დისციპლინას. (საქინფ).

მინსკის სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული ბელორუსული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის მონაწილენი ასრულებენ ეროვნულ ცეკვას „ლიავონიხას“.
საქდესის ფოტოქრონიკა

საბჭოთა ბელორუსიის 20 წლისთავი

1939 წლის 1 იანვარს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უსრულდება თავისი არსებობის 20 წლისთავი. ამ ისტორიულ თარიღს თავისუფალი და ბედნიერი ბელორუსი ხალხი სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად უდიდესი სიხარულითა და ზეიმით იდღესასწაულებს.

თავისი განთავისუფლებისა და ნაციონალური აღორძინების 20 წლისთავს საბჭოთა ბელორუსიის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ეგებებიან ახალი დიდი გამარჯვებებით, ამრავლებენ თავიანთ მიღწევებს, მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში, მრეწველობის ცალკეულ დარგებში, კოლმეურნეობებში ვადაზე ადრე და გადაჭარბებით ასრულებენ წლიურ გეგმებს და ემზადებიან ახალი სამეურნეო წლის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ამ 20 წლის მანძილზე ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა უდიდესი ბელადების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულ უდიდეს მიღწევათა კანონიერი სიამაყის გრძნობით ბელორუსიის მუშები და გლეხები შეიკრიბებიან თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში და ერთხელ კიდევ მოიგონებენ, თუ რა ღატაკად, უუფლებოდ და მონურად ცხოვრობდნენ წინათ, ცარიზმისა და გერმანელ-პოლონელთა ოკუპაციის დროს და როგორ ძირფესვიანად შეიცვალა და გაუმჯობესდა მათი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

წინათ, მეფის ხელისუფლების დროს, ბელორუსია იყო ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, ცარიზმის კოლონია, ბელორუსიის მუშები და გლეხები ორმაგ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას განიცდიდნენ. ცარიზმი ფეხქვეშ სთელავდა ბელორუსთა ნაციონალურ გრძნობებს, მათ ღირსებას. ისე, როგორც სხვა არარუსულ ენებს, ბელორუსულ ენასაც არაკეთილშობილურ, „ძაღლურ“ ენას უწოდებდნენ.

მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებამ და ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ მოუტანა ბელორუსიის მუშებსა და გლეხებს ნამდვილი თავისუფლება. დიდი რუსი ხალხის დახმარებით ბელორუსი ხალხი გამოვიდა ნაციონალური აღორძინების ფართო გზაზე. ამ ხალხის წიაღიდან აღიზარდნენ და დაწინაურდნენ ახალი კადრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველები, მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები.

ორი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელების შედეგად, ბელორუსია გადაიქცა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზებული სოფლის მეურნეობის ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად. ამ წარმატებებისათვის იგი 1935 წელს დაჯილდოვებულ იქნა ლენინის ორდენით.

სოციალიზმის უდიდესი წარმატებებით გაბოროტებულ მავნებლებს, ხალხის დაუძინებელ მტრებს— ტროცკისტ - ბუხარინელებს, სწადდათ ჩამოეშორებინათ ბელორუსია სტალინური მეგობრობითა და სიყვარულით შედუღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიანი ოჯახისაგან, სწადდათ დაებრუნებინათ თავისუფალი ბელორუსი ხალხი ძველ მონურ ცხოვრებაში და ბელორუსიის სიმდიდრენი საძარცვავად მიეცათ გერმანელი და პოლონელი ფაშისტებისათვის.

სოციალიზმის მტრების ეს ზრახვები ვერ შესრულდა და ვერც შესრულდება. სოციალიზმის ქვეყნის სადარაჯოზე დგანან ფხიზელი გუშაგები—სახელოვანი შინსახკომელები, წითელარმიელები, მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც პარტიისა და ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე მზად არის, როგორც ერთი კაცი, ეკვეთოს მტერს და გაანადგუროს იგი.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სოციალიზმის დიადი ქვეყნის საიმედო ფორპოსტია კაპიტალისტური დასავლეთის საზღვარზე. საზღვრის დაცვაში ბელორუსი მუშები და კოლმეურნეები დახმარებას უწევენ სახელოვან მესაზღვრე წითელარმიელებს; მათ ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია და არც გამოეპარება არცერთი ჯაშუში, რომელიც ფეხს დააკარებს ჩვენი ქვეყნის წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელ საზღვარს.

თავისუფალი და ბედნიერი ბელორუსი ხალხი მძლავრი და უძლეველია თავისი განუყრელი კავშირით, მეგობრობით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან. „მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის დიდი და სერიოზული მონაპოვარია, ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (სტალინი).

სტალინური მეგობრობა ბელორუს და სსრ კავშირის სხვა ხალხებს შორის მარად იცოცხლებს. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ბელორუსი ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შეუფერხებლად წავა წინ და უფრო განამტკიცებს და გაამდიდრებს თავის საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს.

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სსრ კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხი ულოცავს არსებობის 20 წლისთავს და უძღვნის მხურვალე ბოლშევიკურ სალამს.

პროფკავშირთა მონაწილეობა მუშაობაში შრომის წიგნაკების შემოღებისათვის

15 იანვრისათვის უნდა დამთავრდეს შრომის წიგნაკების მიცემა საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. 29 დეკემბერს პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც დაავალა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას გააჩაღონ მასობრივი მუშაობა იმ მხრივ, რომ განუმარტონ მუშებსა და მოსამსახურეებს ამ ღონისძიების სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას, რათა შრომის წიგნაკების მიცემა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დაწესებულ ვადაში დამთავრდეს.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა აგრეთვე თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ შრომის წიგნაკები შევსებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების მტკიცე შესაბამისად.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით:

სოფ. ჯოლევჯიანს (ზუგდიდის რაიონი) შეეცვალა სახელი და ეწოდა სოფ. ინგირი.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოს ტერიტორიას გამოეყო სოფ. ინგირი და შეიქმნა ინგირის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ინგირში.

ყულის-ყარის (ზუგდიდის რაიონი) სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: ზემოგრიგოლიში, საესებუო, საკანკიო, სახასიო და სალაგვილაო და შეიქმნა გრიგოლიშის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: ზემოგრიგოლიში, საესებუო, საკანკიო, სახასიო და სალაგვილაო, ცენტრით სოფ. გრიგოლიშში.

ორულე-ერგეტას სასოფლო საბჭო (ზუგდიდის რაიონი) გაყოფილია ორ სასოფლო საბჭოდ: ორულეს და ერგეტას სასოფლო საბჭოებად. ორულეს სასოფლო საბჭოში შედიან სოფლები: ორულე, წაქე და დიდი ღალის ნაწილი; საბჭოს ცენტრია სოფ. ორულე. ერგეტას სასოფლო საბჭოში შედიან სოფლები: ერგეტა, ცნავე, ლეკუხა, ნაჭყადუ და დიდი ღალის ნაწილი (ცენტრი — სოფ. ერგეტა).

აბასთუმნის სასოფლო საბჭოს (ზუგდიდის რაიონი) გამოეყო სოფ. ხეცერა და შეიქმნა ხეცერას სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. ხეცერაში.

O

წითელწყაროს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფ. წითელწყაროს მუშათა დასახლებული უბანი და გარდაიქმნა დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილად); უნდა შეიქმნას წითელწყაროს სადაბო საბჭო მასზე დაბა ახალ მირზაანის მიწერით.

წითელწყაროს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფ. ჯაფარიძე და დაარსდა ჯაფარიძის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. ჯაფარიძეში.

ამასთან დაკავშირებით საქ. მიწათმოქმედებისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს დაევალათ გაატარონ მიწათმოწყობა და წარუდგინონ დასამტკიცებლად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაბა წითელწყაროს საზღვრების პროექტი.

O

საგარეჯოს რაიონის ხაშმის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები უჯარმა და მუხროვანი, გომბორის სასოფლო საბჭოს — სოფ. პალდო-ჩანჩქრები და შეიქმნა უჯარმის სასოფლო საბჭო შემდეგი სოფლების შემადგენლობით: უჯარმა, მუხროვანი და პალდო-ჩანჩქრები ცენტრით სოფ. უჯარმაში.

O

ვანის რაიონის შუამთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: მთისძირი, ჭაგანჭყვიში და დაარსდა მთისძირის სასოფლო საბჭო სოფლების მთისძირისა და ჭაგანჭყვიშის შემადგენლობით, ცენტრით სოფ. მთისძირში.

სოფ. ჩხოროწყუს უბანი ქვედოჩხოროწყუ გარდაიქმნა სოფ. ქვედაჩხოროწყუდ; სოფლები ქვედა-ჩხოროწყუ და ლეჯიქე გამოეყო ჩხოროწყუს სასოფლო-საბჭოს და შეიქმნა ქვედა-ჩხოროწყუს სასოფლო საბჭო სოფ. ქვედა-ჩხოროწყუს და სოფ. ლეჯიქეს შემადგენლობით. სასოფლო საბჭოს ცენტრი მოთავსებული იქნება სოფ. ქვედა-ჩხოროწყუში.

ჩხოროწყუს რაიონის მუხურისა და ხაბუმეს სასოფლო საბჭოებს გამოეყო სოფ. ზუმი და შეიქმნა ზუმის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. მუხურის ზუმში.

ჩხოროწყუს რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები: თაია-პირველი, ოცინდალე და ხაბალერი და შეიქმნა თაიას სასოფლო საბჭო სოფლების თაია - პირველის, ოცინდალეს და ხაბალერის შემადგენლობით ცენტრით სოფ. თაია-პირველში.

O

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის მშენებლობაზე წარჩინებული მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით:

მ. ო. აკოფოვი (მშენებლობის პარტორგი), **ნ. დ. ალლაძე** (მარმარილოს მთლელი), **დ. ზ. თაბორიძე** (მექანიკოსი), **ი. ი. ლოიკო** (სამუშაოთა მწარმოებელი), **ნ. ი. ლუკიანჩენკო** (დურგალი), **ე. მ. მარტიროსიანი** (მხაზავი), **ე. ხ. ნეხაენკო** (მხაზავი), **მ. ა. სარფაზიანი** (სამუშაოთა მწარმოებელი), **ე. ე. სტეფანიანი** (მხაზავი), **თ. ო. ფარქოსაძე** (ქვის მთლელი), **ი. დ. შუშიაშვილი** (ქვის მთლელი).

ქირურგების საკავშირო ყრილობაზე

ხარკოვი, 29 დეკემბერი (საკდესი). დღეს დილიდანვე ქირურგთა საკავშირო ყრილობაზე განხილულ იქნა თანამედროვე ქირურგიის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა: დაავადებანი, დაკავშირებული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაციებთან.

პირველ მომხსენებელს ამ საკითხზე — კუჭის ოპერაციების ბრწყინვალე ოსტატს—მოსკოვის პროფესორს იუდინს უდიდესი გამოცდილება აქვს იმ დაავადებათა მკურნალობაში, რომლებიც ხშირად ართულებენ ამ ოპერაციებს.

დიდი ყურადღებით მოისმინეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გალპერინის მოხსენება (დნეპროპეტროვსკი). მან აღნიშნა ის შეცდომები, რომლებიც ხშირად მოუდის ქირურგს წყლულის მკურნალობის დროს.

იმ დაავადებათა დაწვრილებითი დახასიათება, რომლებიც კუჭის წყლულის სხვადასხვა ოპერაციების შემდეგ გვხვდება, თავის მოხსენებაში მოგვცა პროფესორმა პევზნერმა (მოსკოვი) და აღნიშნა ამ გართულებათა მიზეზები და მათი მკურნალობის საშუალებანი.

საინტერესო ინფორმაცია თემაზე „რეზექცირებული კუჭის ფუნქციები" გააკეთა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ლევიტმა (მოსკოვი).

საპროგრამო თემაზე მოხსენებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ოგლობლინი (სმოლენსკი), მაიანცი (ლენინგრადი), ლომაზოვი, რაიგოროდსკი და ლევინი (ხარკოვი).

O

ყრილობის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილებას „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ".

სოციალისტური სამშობლოს საზღვრების სადარაჯოზე.
სურათზე: მესაზღვრე მზვერავები. მარცხნივ — უმცროსი მეთაური პ. ს. კუზმინი, მარჯვნივ — მებრძოლი ი. პ. შმაროვი (ბელორუსიის სსრ).
ფოტო ბ. ფიშმანისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

აგრესორთან ბრძოლაში მტკიცდება ჩინეთის ხალხის მამაცობა

(ჩან კაი-შის განცხადება)

ჩუნცინი, 29 დეკემბერი (საკდესი). 26 დეკემბერს სუნ იატ-სენის ხსოვნისადმი მიძღვნილ კრებაზე სიტყვით გამოვიდა ჩან კაი-ში. „ჩინეთის ჯარის მორალური მდგომარეობა,—სთქვა ჩან კაი-შიმ,—მეტად მაღალია. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი განვაგრძოთ ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენმა ხალხმა გაიგო დამონების საშიშროება და მე დარწმუნებული ვარ, რომ არმიისა და საერთოდ მთელი ხალხის ასეთი მორალური განწყობილების დროს საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

შემდეგ ჩან კაი-შიმ დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა იაპონიის მთავრობის დეკლარაციას და პრემიერ კონოეს გამოსვლას. „კონოეს დეკლარაცია პასუხის ღირსი არ არის; მასში ნათლად შეგვიძლია დავინახოთ სიყალბე, რომელიც ჰფარავს იაპონელთა ნამდვილ ზრახვებს დაიმონონ ჩინეთი. კონოემ განაცხადა, რომ იაპონიას სურს შექმნას იაპონიასთან და მანჯოუგოსთან დაკავშირებული „ახალი" ჩინეთი. „ახალ" ჩინეთად კონოე სახავს დამონებულ ჩინეთს. ამისათვის იაპონია იყენებს სხვადასხვა საბაბს. „წითელ საფრთხესთან" ბრძოლის მომიზეზებით იაპონია ცდილობს განაიარაღოს ჩინეთი, აღმოსავლური კულტურის განვითარების მომიზეზებით — შეარყიოს ჩინეთის კულტურის სასიცოცხლო ფესვები, ეკონომიური ზღუდეების თავიდან აცილების მომიზეზებით—შეარყიოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის სახელმწიფოების პრესტიჟი ჩინეთში და დაამყაროს თავისი ბატონობა წყნარ ოკეანეში. კომუნიზმთან ბრძოლის მომიზეზებით იაპონიას სურს თავისი შეიარაღებული ძალები შეიყვანოს ჩრდილო ჩინეთსა და შიდა მონღოლეთში. ამ საბაბს არავითარი აზრი არ აქვს, რადგან ჩინეთი სუნ იატ-სენის სამი პრინციპის ერთგულია. იაპონიის ეს საბაბი ესაჭიროება კონტროლის დასაწესებლად ჩინეთის შეიარაღებულ ძალებსა და მთავრობაზე.

კონოე ლაპარაკობს, რომ აღმოსავლეთის რასების გაერთიანება მოხდეს მათი თანამშრომლობის საფუძველზე. ფაქტიურად ეს იქნებოდა ჩინელთა გადაქცევა მონებად. იაპონიას ამჟამად არავითარი საფუძველი არ აქვს იქონიოს იმის იმედი, რომ შეიარაღებული ჩინეთი მიიღებს ნაციონალური დამონების ასეთ პროგრამას. კონოეს მოთხოვნები სავსებით შეეფერებიან ტანაკას დებულებებს იმის შესახებ, რომ იაპონიამ მსოფლიოს დასამორჩილებლად უნდა დაიპყროს ჩინეთი. ჩინეთის ხალხმა ომის 18 თვის განმავლობაში მილიონობით სიცოცხლე შესწირა თავის ქვეყანას ფრონტებზე. ჩვენი ბრძოლა ამტკიცებს, რომ იაპონია ვერ შესძლებს თავისი აგრესიული გეგმების შესრულებას, ამტკიცებს იმას, რომ იაპონია ვერ შესძლებს მოსპოს ძველი კულტურის ქვეყანა მისი 450 მილიონიანი მოსახლეობით, ვერ შესძლებს დაგვაშინოს ჩვენ და აიძულოს ჩვენი მთავრობა ხელი აიღოს რევოლუციური ამოცანების შესრულებასა და ნაციონალური ხსნისათვის ბრძოლაზე. იაპონელ მილიტარისტთა ავანტიურას იაპონია დაღუპვისაკენ მიჰყავს. ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ამჟამად იაპონიის ხალხს ჯერ კიდევ არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ამბების განვითარებაზე, რომ იაპონიის ხელმძღვანელობენ თავზეხელაღებული მილიტარისტები, რომლებიც სპობენ თავისივე საკუთარი ქვეყნის ნაციონალურ ძალებს. იაპონია ცდილობს აიძულოს ჩინეთი ხელი აიღოს ღია კარების პრინციპზე, ჩამოაშოროს ჩინეთი ერთა ლიგას, დაარღვიოს 9 სახელმწიფოს ხელშეკრულება, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი და სხვა საერთაშორისო ვალდებულებანი. ჩინეთი მუდამ ასრულებდა საერთაშორისო ვალდებულებებს და შემდეგშიც არ აიღებს ხელს ამაზე. იაპონია-ჩინეთის ომი—ეს არის ომი ძალასა და სამართალს შორის, კანონიერების დამრღვევთა და კანონიერების მომხრეთა შორის. ჩვენ მტკიცედ უნდა გვქონდეს გადაწყვეტილი ვიბრძოლოთ საბოლოო გამარჯვებამდე. რაც უფრო მეტი სიძნელეების გადალახვა გვიხდება, მით უფრო ძლიერი ვხდებით ჩვენ. რაც უფრო გრძელდება ბრძოლა, მით უფრო მეტ სიმამაცეს იჩენს ჩინეთის ხალხი. საბოლოო გამარჯვება ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს".

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის აკრძალვის შემდეგ

პრაღა, 29 დეკემბერი (საკდესი). გუშინ პოლიციამ დაიკავა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა ადგილობრივი სამდივნოს შენობები და დაბეჭდა ისინი. კომუნისტური ორგანიზაციების მთელი ქონება ჩამორთმეულია. საპარლამენტო ფრაქცია გამოცხადებულია დაშლილად. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილია სია კომუნისტური პარტიის წევრებისა, რომელთაც ეკრძალებათ დაიკავონ ხელმძღვანელი პოსტები ჩეხოსლოვაკიის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

შეტაკება სლოვაკ მოსახლეობასა და უნგრეთის ჟანდარმთა შორის

ბუქარესტი, 29 დეკემბერი (საკდესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, უნგრეთის მიერ ოკუპირებულ სოფელ ნაგისურანში (სლოვაკია) 25 დეკემბერს სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა ამ სოფლის სლოვაკ მოსახლეობასა და უნგრეთის ჟანდარმთა შორის. სლოვაკი გლეხები მოითხოვდნენ სოფლის დაბრუნებას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოსათვის. ჟანდარმებმა მათ სროლა აუტეხეს, რის შედეგადაც რამდენიმე გლეხი მოჰკლეს და მრავალი დასჭრეს.

ცვლილება თურქეთის მთავრობის შემადგენლობაში

ანკარა, 29 დეკემბერი (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, სახალხო მეურნეობის მინისტრი შაკირ კესებირი და განათლების მინისტრი საფიტ არიკანი მთავრობიდან გავიდნენ ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო. სახალხო მეურნეობის მინისტრად დანიშნულია ხიუსნიუ ჩაკირი და განათლების მინისტრად — ჰასან ალი იუჯელი. ორივე ახალი მინისტრი კამუტაის (თურქეთის პარლამენტის) დეპუტატებია იზმირიდან.

ჰიტლერის ახალი მოთხოვნები

ლონდონი, 29 დეკემბერი (საკდესი). როგორც გაზეთი „სტარი" იუწყება, ჰიტლერის ადიუტანტი ვიდემანი იანვარში გაემგზავრება ლონდონს, სადაც აწარმოებს მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ წავიდნენ გერმანიის მიმართ მთელ რიგ დათმობებზე, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ მას თავი დააღწიოს ფინანსიურ კრიზისს, რაც ამჟამად გერმანიას ემუქრება. ჰიტლერი მოითხოვს, რათა ინგლისმა გერმანიას დაუბრუნოს 120 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ხოლო საფრანგეთმა—500 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რაც გერმანიამ ერთდროს გადაუხადა ამ ქვეყნებს როგორც რეპარაციები ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით. [illegible] ნის დარბაზში [illegible] ბი იქნება — ვითომდა ჰიტლერის წინადადება ინგლისისადმი „შეიარაღების შეზღუდვის შესახებ".

გაზეთის სიტყვით, ჩემბერლენს განზრახვა აქვს რომში გამგზავრების შემდეგ ერთხელ კიდევ ეწვიოს ბერლინს. ბერლინში ყოფნის დროს ჩემბერლენი მიიწვევს ჰერინგს ან გერმანიის მთავრობის რომელიმე სხვა გამოჩენილ წარმომადგენელს ჩავიდეს ლონდონში „ევროპის საერთო მშვიდობიანობის" გეგმის განსახილველად. ჩემბერლენს, სწერს დასასრულ გაზეთი, განზრახვა აქვს მოიწვიოს მიუნხენის შეთანხმების მონაწილეთა კონფერენცია.

გაიხსნა სრულიად-თურქეთის პირველი ყრილობა

სტამბოლი, 29 დეკემბერი (საკდესი). გაიხსნა სრულიად-თურქეთის პირველი ყრილობა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე. ყრილობის გახსნისას სიტყვით გამოვიდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯელალ ბაიარი. ამ ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ყველა გაზეთი დაწვრილებით იუწყება იმ საჩუქრების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიამ უძღვნა თურქეთის მიწათმოქმედების სამინისტროს (ამასწინათ სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ თურქეთის მიწათმოქმედების მინისტრს კურდოღლს გადასცა სსრ კავშირის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის საჩუქრები, მათ შორის: კომპლექტი წიგნებისა სოფლის მეურნეობის საკითხებზე და კერძოდ ტიმირიაზევის, მიჩურინისა და ვილიამსის ნაშრომები, კოლექცია სოფლის მეურნეობის კულტურებისა, რომლებიც სსრ კავშირში მოჰყავთ, და სასოფლო-სამეურნეო კინოფილმები: „ბუნების გარდამქმნელი", „სოციალისტური მეხილეობა", „თამბაქოს ნერგსარგავი მანქანა" და „მცენარეთა ზრდა").

გაზეთები აღნიშნავენ იმ ყურადღებას, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულებამ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებზე მოწვეული სრულიად-თურქეთის პირველი ყრილობისადმი და აფასებენ ამ ფაქტს, როგორც საბჭოთა კავშირისა და თურქეთის მეგობრობის გამოხატულებას.

დემოკრატიული და კულტურული ორგანიზაციების აკრძალვა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 29 დეკემბერი (საკდესი). კომუნისტური პარტიის აკრძალვის შემდეგ მთავრობამ დაიწყო გალაშქრება ყველა დემოკრატიული და კულტურული ორგანიზაციის წინააღმდეგ. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აკრძალულია „სახალხო კულტურის" ორგანიზაცია (დემოკრატიული ლიტერატურის გამომცემელი და გამავრცელებელი გაერთიანება), დაშლილია მემარცხენე დემოკრატიული ინტელიგენციის გაერთიანება „ლევა ფრონტი", „თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირი" და დახურულია ამ უკანასკნელის ორგანო „მაიაკი". გუშინ პოლიციამ გაჩხრიკა გამომცემლობა „ოდეონის" შენობა (ამ გამომცემლობამ გამოუშვა ლენინისა და სტალინის ნაწარმოებნი, აგრეთვე პროფესორ ნეედლის წიგნი „ლენინი"). გამომცემლობას აეკრძალა საბჭოთა ავტორების წიგნების და საერთოდ მარქსისტული ლიტერატურის გაყიდვა.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ 28 დეკემბერს მეამბოხენი და ინტერვენტები განაგრძობდნენ გააფთრებულ იერიშებს ქვემო სეგრის სექტორში. ეს იერიშები რესპუბლიკელებმა მთლიანად მოიგერიეს. იტალიის ქვეითი ჯარის მოქმედებას ხელს უწყობდნენ კიდევ მეტი რაოდენობის თვითმფრინავები და ტანკები, ვიდრე წინა დღეებში. რესპუბლიკელებმა გაანადგურეს იტალიელთა 2 ტანკი რესპუბლიკელთა პოზიციების მახლობლად. ამავე რაიონში ჩამოაგდეს იტალიელთა „ფიატის" ტიპის ერთი თვითმფრინავი.

ტრემპის სექტორში გააფთრებული ბრძოლა გრძელდება. მთელი რიგი იერიშების შემდეგ მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა შესძლეს დაეკავებინათ მაღლობები „883" და „1100". რესპუბლიკელთა ჯარის ერთეულებმა კონტრიერიში მიიტანეს ამ მაღლობებზე. ბალაგერის სექტორში მეამბოხეთა ჯარმა დილაადრიან დაიწყო საარტილერიო მზადება, რაც 5 საათს გაგრძელდა. რესპუბლიკელთა პოზიციებს 10 ათასზე მეტი ყუმბარა ესროლეს. რესპუბლიკელთა ჯარმა ყუმბარების საშუალებით მოიგერია ინტერვენტთა რამდენიმე სატანკო იერიში და მოსპო მტრის ორი ტანკი.

ბრძოლის შედეგად მტერმა თავდაპირველი პოზიციებისაკენ დაიხია.

რესპუბლიკელების მიერ წამოყვანილ ტყვეთა შორის არის 3 იტალიელი ჯარისკაცი. გარდა ამისა, რესპუბლიკელებმა ბრძოლის ველზე იპოვეს იტალიელი ლეიტენანტის ვალტერ ბაცელის გვამი.

რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებსა და ტყვიამფრქვევებს უშენდა მეამბოხეთა პოზიციებსა და მათი ჯარის გროვას ფრონტის ყველა სექტორში. საჰაერო ბრძოლის დროს რესპუბლიკელებმა ჩამოაგდეს იტალიელთა ერთი თვითმფრინავი „ფიატი" და გერმანელთა ერთი „მესერშმიდტი". რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიამ 27 დეკემბერს ჩამოაგდო 2 თვითმფრინავი „დორნიე—17" და ერთი „ჰაინკელ—3".

ი. ვიქტოროვი

1939 წლის მიჯნაზე

(საერთაშორისო მიმოხილვა)

დასრულდა მოვლენებით მდიდარი 1938 წელი. კაპიტალისტური სამყარო აშკარა შეშფოთებით ეგებება მომავალ 1939 წელს. ბურჟუაზიული პრესის ფურცლებიდან გაჰქრნენ ის ოპტიმისტური წინასწარმეტყველებანი, რომლებიც დამახასიათებელი იყო ახალწლის წინა სტატიებისა და მოსაზრებებისათვის. უკვე არავინ ლაპარაკობს მშვიდობიანობაზე და აყვავებაზე, ვინაიდან კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის არც მშვიდობიანობა, არც აყვავება. კაპიტალის ქვეყნებში იზრდება მშრომელი მასების უმუშევრობა, სიღატაკე. 1938 წელი გავიდა მეორე იმპერიალისტური ომის გაშლის ნიშნით ახალი ეკონომიური კრიზისის განვითარების პირობებში, მილიონობით გლეხებისა და ფერმერებისათვის სიღატაკისა და გაპარტახების მომტანი გამწვავებული აგრარული კრიზისის ფონზე.

1939 წელმა არა მარტო გვიჩვენა, რომ „მეორე იმპერიალისტური ომი ნამდვილად უკვე დაიწყო", მან განსაკუთრებული სიცხადით გადაგვიშალა მეორე იმპერიალისტური ომის ის განმასხვავებელი ხასიათი, რომელიც მდგომარეობს იმაში, „რომ მას აწარმოებენ და აჩაღებენ აგრესიული სახელმწიფოები, მაშინ როცა სხვა სახელმწიფოები, „დემოკრატიული" სახელმწიფოები, რომელთა წინააღმდეგაც არსებითად მიმართულია ომი, თავს ისე მოგვაჩვენებენ, თითქოს ომი მათ არ ეხებოდეს, ხელებს იბანენ, უკან იხევენ, ქებას ასხამენ თავის მშვიდობისმოყვარეობას, ლანძღავენ ფაშისტ-აგრესორებს და... თავის პოზიციებს თანდათანობით უთმობენ აგრესორებს, ირწმუნებიან რა ამასთან, ჩვენ წინააღმდეგობის გასაწევად ვემზადებითო" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 318-319).

ეს განსაკუთრებით მახვილი და ზუსტი დახასიათება გვაძლევს იმ მოვლენების ანალიზის გასაღებს, რომლებიც 1938 წელს გაიშალა.

1938 წლამდე უკვე დიდიხნით ადრე ომის კერები გაჩაღებული იყო ევროპის უკიდურეს დასავლეთში და აზიის შორეულ აღმოსავლეთში. 1931 წლიდან სწარმოებს იაპონიის მძარცველური ომი ჩინეთში. 1935 წელი აღინიშნა იტალიის ფაშიზმის თავდასხმით აბისინიაზე, 1936 წლიდან სწარმოებს ომი ესპანეთში. 1938 წელმა გვიჩვენა ფაშისტური აგრესიის შემდგომი განვითარება: იგი იყო მოწმე გერმანიის ფაშიზმის მიერ ავსტრიის დაპყრობისა და ჩეხოსლოვაკიის განაწილებისა. აგრესიის გაშლა დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს. ეს არის პირდაპირი შედეგი არა მარტო ომის გამჩაღებელთა აქტივობისა, არამედ ეგრეთწოდებული „დემოკრატიული" სახელმწიფოების პოლიტიკისა, რომლებმაც ქედი მოიხარეს ფაშისტ აგრესორების წინაშე.

ეგრეთწოდებული „დემოკრატიული" სახელმწიფოების ქცევისათვის დამახასიათებელია ის გულაზდილობა, რომლითაც ისინი ამჟამად არღვევენ თავიანთ საერთაშორისო ვალდებულებებს. წაყრუების პოლიტიკა ფაქტიურად გადაიზარდა აგრესორებისათვის პირდაპირი დახმარების პოლიტიკად. 1938 წლის მარტში გერმანიის ფაშიზმმა დაიპყრო ავსტრია. ამ დაპყრობამ არ გამოიწვია პროტესტი არც ინგლისის, არც საფრანგეთის მხრივ. ავსტრიის მთავრობის ყველა მიმართვა დახმარების შესახებ ლონდონსა და პარიზში უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამავე დროს ინგლისისა და საფრანგეთის ხელმოწერა ამშვენებს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებასა და დოკუმენტს, რომლებითაც გარანტირებული იყო ავსტრიის დამოუკიდებლობა.

აგრესორის წინაშე კაპიტულაციის ამ პოლიტიკამ, ომის ფაშისტ გამჩაღებელთა ხელშეწყობის პოლიტიკამ კიდევ უფრო ცხადად იჩინა თავი ჩეხოსლოვაკიის საკითხში. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს საშინელი გამცემლობა, რომელიც მიუნხენში ჩადენილ იქნა ჩეხოსლოვაკიის მიმართ. კონფერენციამ მიუნხენში გვიჩვენა მაგალითი ოთხი დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოს უაღრესად უსირცხვილო, მოურიდებელი შეთანხმებისა უფრო სუსტი დემოკრატიული სახელმწიფოს ხარჯზე. ამასთან ეს შეთანხმება ცალმხრივი აღმოჩნდა, — ეგრეთწოდებულმა „დემოკრატიულმა" სახელმწიფოებმა სამარცხვინოდ მოიხარეს ქედი აგრესორების წინაშე.

ახლა უკვე არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ფაშისტი აგრესორები მიუნხენის წინ მეტად დაბნეული იყვნენ, შიშობდნენ, რომ მათ ომის დაწყება მოუხდებოდათ მათთვის მეტისმეტად არახელსაყრელ პირობებში. მართლაც, ინგლისი და საფრანგეთი ჩეხოსლოვაკიის დასაცავად რომ გამოსულიყვნენ, ძალთა თანაფარდობა აშკარად არ იქნებოდა აგრესორის სასარგებლოდ.

სწორედ ამიტომ სავსებით ცხადია სიცრუე და უაზრობა მიუნხენელ „მშვიდობისმყოფელთა" მტკიცებისა იმის შესახებ, თითქოს მათ „იხსნეს მშვიდობიანობა". მათ იხსნეს არა მშვიდობიანობა, არამედ აგრესორები გარდუვალი მარცხისაგან, მსხვერპლად მიიტანეს რა ამისთვის არა მარტო ჩეხოსლოვაკია, არამედ თავისი საკუთარი ინტერესებიც.

მიუნხენის შეთანხმების შედეგებმა მალე იჩინეს თავი. მარტო ჩეხოსლოვაკია კი არ აღმოჩნდა დაფლეთილი, — ფაშისტურმა გერმანიამ უკვე დასახა აგრესიის მთელი რიგი ახალი ობიექტები. იგი დაჟინებულ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევა რუმინეთში; აძლიერებს ინტრიგებს პოლონეთის წინააღმდეგ, ცდილობს ჩამოაშოროს პოლონეთის სახელმწიფოს უკრაინელებით დასახლებული ადგილები; იგი ემზადება იმისათვის, რომ გააფორმოს დანციგის შეერთება „მესამე იმპერიასთან"; იგი აპირებს კლაიპედის (ლიტვა) დაპყრობას.

მიუხედავად აგრესორთა აღვირახსნილობისა და მათი დამპყრობლური მისწრაფებების შემდგომი გაშლისა, საფრანგეთი და ინგლისი არ იხევენ კაპიტულაციის თავისი ხაზიდან, აგრესორთან შეთანხმების თავისი ხაზიდან.

უშუალოდ მიუნხენის შემდეგ ხელმოწერილ იქნა ინგლის-გერმანიის დეკლარაცია, რატიფიცირებულ იქნა ინგლის-იტალიის შეთანხმება, ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-გერმანიის დეკლარაცია. ინგლისის პრემიერი ჩემბერლენი ემზადება რომში გასამგზავრებლად მუსოლინისთან შემდგომი მოლაპარაკებისათვის. ეს ხდება მაშინ, როდესაც იტალიის პრესა ომით ემუქრება საფრანგეთს და მოითხოვს საფრანგეთისაგან ტუნისის, ნიცის, სავოიისა და კორსიკის ჩამოშორებას.

სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა: რა არის მიზეზი ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების კაპიტულანტური პოლიტიკისა?

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხის ძებნას შევუდგებოდეთ, საჭიროა ხაზი გავუსვათ წინააღმდეგობათა იმ მკვეთრ გამწვავებას იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, რასაც ამჟამად ვხედავთ. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ მეორე იმპერიალისტური ომი „საბოლოო ანგარიშით სწარმოებს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური ინტერესების წინააღმდეგ, რადგან მიზნად ისახავს მსოფლიოს და გავლენის სფეროების გადანაწილებას აგრესიული ქვეყნების სასარგებლოდ და ამ ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების ხარჯზე". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია", გვ. 318). მართლაც, ფაშისტური გერმანია ცდილობს განამტკიცოს თავისი ბატონობა ევროპის კონტინენტზე, დაიპყროს მდინარე დუნაის ბასეინი. გერმანიის ფაშიზმის მძარცველურ გეგმებში შეტანილია პოლონეთიც, შვეიცარიაც, ელზას-ლოტარინგიაც, დანიაც, ბალტიკის მხარეც. გერმანიის დამპყრობლური გეგმების მახვილი რომ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

იტალია, რომელიც მისმა პარტნიორმა „რომი-ბერლინის ღერძში" ფაქტიურად განდევნა დუნაის ბასეინიდან, ცდილობს განმტკიცდეს ხმელთაშუა ზღვაზე, ფეხი მოიკიდოს მეწამული ზღვის სანაპიროზე, მიაღწიოს აფრიკის კოლონიების გადანაწილებას და კერძოდ ხელჰყოფს საფრანგეთის სამფლობელოებს.

იაპონია ცდილობს მონოპოლიურად გაბატონდეს ჩინეთში და იყოს სრულუფლებიანი ბატონპატრონი წყნარ და ინდოეთის ოკეანეებზე, განდევნოს იქიდან ინგლისიც და შეერთებული შტატებიც.

ყველა შეთანხმება, ყველა საპარადო დოკუმენტი „მეგობრობის" შესახებ და სხვ., რომლებსაც ხელს აწერენ ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოები აგრესორ ქვეყნებთან, ასახავენ წინააღმდეგობათა მზარდ გამწვავებას, ვინაიდან ჩნდება სულ უფრო მეტი სადავო და გადაუწყვეტელი საკითხები.

მაინც რა არის ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების დამთმობლობის მიზეზი? მიზეზია — კლასობრივი ინტერესები მმართველი წრეებისა, რომლებიც განსაზღვრავენ ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ეგრეთწოდებული „დემოკრატიული" სახელმწიფოების პოლიტიკას. ინგლისის მმართველი კონსერვატიული წრეები და მათი რეაქციონერი მეგობრები საფრანგეთში ფაშისტურ სახელმწიფოებს განიხილავენ როგორც დასაყრდენს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, მზარდი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა ის უდიდესი წინააღმდეგობა, რომელსაც ფაშისტი აგრესორები თავიანთ გზაზე აწყდებიან. ამ წინააღმდეგობას მათ უწევენ უშუალოდ ის ხალხები, რომლებიც აგრესორთა თავდასხმას განიცდიან. იაპონელ დამპყრობელთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას აწარმოებს ჩინელი ხალხი. მთელი მსოფლიო გაოცებით ადევნებს თვალს, თუ როგორ მტკიცდება ოდესღაც დაქსაქსული ჩინეთის ნაციონალური ერთიანობა. ჩინეთში კომპარტიისა და გომინდანის თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილია ერთიანი ანტიიაპონური ნაციონალური ფრონტი, რომელიც ჩინელი ხალხის უფართოეს მასებს ემყარება. იაპონელ იმპერიალისტებს სულ უფრო და უფრო უძნელდებათ თავისი მძარცველური ომის წარმოება ჩინეთში. მათ აუცილებლად მოელით დამარცხება, ვინაიდან არ შეიძლება დამარცხება ხალხისა, რომელიც აღსდგა თავისი თავისუფლების, თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად.

რესპუბლიკურ ესპანეთში, რომელიც ფაქტიურად მოწყვეტილია გარეშე ქვეყნიერებას, არ სუსტდება ნებისყოფა წინააღმდეგობის გაწევისა, ნებისყოფა ბრძოლისა ფაშისტ მეამბოხეთა და იტალია-გერმანიის ინტერვენტთა წინააღმდეგ, რომლებმაც, მიუხედავად საუცხოო ტექნიკისა, უდიდესი სახსრებისა, ვერ შესძლეს ესპანეთის რესპუბლიკის დამარცხება. რესპუბლიკამ შესძლო ინტერვენტთა ყველა შეტევის მოგერიება და მძლავრი, დისციპლინიანი, ბრძოლის უნარის მქონე სახალხო არმიის შექმნა. ესპანელი ხალხის ესოდენ წარმატებითი ბრძოლა შესაძლებელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ მას აწარმოებენ ხალხის მასები, რომ ამ ბრძოლის დასაყრდენია მშრომელთა ნამდვილი სახალხო ფრონტი.

საფრანგეთის რეაქციული ბურჟუაზია ცდილობს სძლიოს სახალხო ფრონტი საფრანგეთში. ამის საპასუხოდ საფრანგეთის მუშები აძლიერებენ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ფაშიზმის წინააღმდეგ. ამასწინათ მომხდარმა საყოველთაო გაფიცვამ საფრანგეთში გვიჩვენა, თუ რა შესაძლებლობები აქვს ფრანგ მუშას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში ფართოვდება მოძრაობა ერთიანი დემოკრატიული ფრონტის შექმნისათვის.

ინგლისის რეაქციულ ბურჟუაზიას, მის იმ ჯგუფებს, რომელთა წარმომადგენელიც ჩემბერლენია, იმის იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ ომის ფაშისტ გამჩაღებელთა შემდგომი აგრესიის მიმართვას ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის ხელსაყრელ კალაპოტში. მათ იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ შეჯახებაში ჩარევას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბრიტანეთის იმპერიალიზმის ყველა მოწინააღმდეგე საკმაოდ დასუსტებული იქნება.

ჩემბერლენის პოლიტიკა, რომელიც აღსავსეა კატასტროფული შედეგებით ბრიტანეთის იმპერიისათვის, უკმაყოფილებას იწვევს ინგლისის ბურჟუაზიის უფართოეს ფენებშიც კი, კონსერვატორების წრეშიც კი. სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ კონსერვატიული პარტიის რიგებში გაიზარდა ესოდენ ძლიერი ოპოზიცია ჩემბერლენისადმი. ინგლისის ბურჟუაზიის ყველაზე შორსმჭვრეტი და ფხიზელი პოლიტიკური მოღვაწეები თავისთავს ანგარიშს აძლევენ იმაში, თუ რა სახიფათოა თავისი ბედიღბლის დაკავშირება ფაშისტური დიქტატურების ბედიღბალთან. მათ საუცხოოდ ესმით, რომ ფაშისტური რეჟიმები მტკიცე არ არიან. ებრაელთა რბევა გერმანიაში, რასაც ამ ცოტახნის წინათ ჰქონდა ადგილი, ანტისემიტური კანონები იტალიაში და სხვა ამგვარი მოვლენები ბრწყინვალე ილუსტრაციაა ფაშისტური ქვეყნების შინაპოლიტიკური მდგომარეობის დაძაბულობისა.

სრულიად უეჭველია, რომ 1939 წელი იქნება მეორე იმპერიალისტური ომის შემდგომი გაშლის წელიწადი. საბჭოთა კავშირი გულგრილად ვერ მოეკიდება იმ ამბებს, რომლებიც ახლა ხდება, ვინაიდან ეს ომი საბჭოთა კავშირსაც ემუქრება. ხასანის ტბასთან მომხდარმა ამბებმა ცხადჰყვეს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ეს გაზრდილი საშიშროება. ამავე დროს ხასანის ტბასთან მომხდარმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ ყველა, ვინც საბჭოთა მიწა-წყალს დაესხმის, გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდება. მაგრამ ეს საბჭოთა კავშირის ხალხებს არ ათავისუფლებს აუცილებლობისაგან მუდამ იყონ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში, მზად იყონ ყოველგვარი შემთხვევითობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინ

აღწერის კადრების მომზადება საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს ცნობების მიხედვით, 25 დეკემბრისათვის საქ. სს რესპუბლიკაში მომზადებულია: რაიაღრიცხვის 73 ინსპექტორი, 69 თანაშემწე (ყაზბეგის ყარაიის, ზნაურისა და ბათუმის რაიონებს არა აქვთ თანაშემწის შტატი, რადგან ამ რაიონების მოსახლეობის რაოდენობა გეგმით დაწესებულ ნორმაზე მცირეა), სააღწერო განყოფილებათა 221 გამგე, 236 თანაშემწე, 2079 ინსტრუქტორ-კონტროლიორი და 9319 აღმწერი. გეგმით უნდა მომზადებულიყო სულ 9398 აღმწერი, მათგან მოუმზადებელია 79. აღწერის დანარჩენი კადრები მომზადებულია მთლიანად—გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით.

მოუმზადებელია: აბაშის რაიონში (რაიაღრიცხვის ინსპექტორი—ტ. ჯანელიძე) 10 აღმწერი, თელავის რაიონში (ინსპექტორი—მ. სესიაშვილი)—10, ხობის რაიონში (ინსპექტორი—ა. ჩიკაშუა)—12, ახპინძის რაიონში (ინსპექტორი—შ. მიხაილოვი)—10, ცხაკაიას რაიონში (ინსპექტორი—ს. ლომაია)—13, ლაგოდეხის რაიონში (ინსპექტორი—აკ. სირბილაძე)—10, წალკის რაიონში (ინსპექტორი—გ. ზოსიმოვი)—4 და სამხრეთ-ოსეთში (აღრიცხვის სამმართველოს უფროსი—ბეკოევი) — 10 აღმწერი.

ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს დაუშვებელ პრაქტიკას—აღწერის კადრების ხშირ ცვლას. მაგალითად, ადიგენის რაიონში განთავისუფლებული და შეცვლილია 35 აღმწერი, ქ. ბათუმში—40 და ახალქალაქში—18 აღმწერი.

თათბირი ორჯონიკიძის რაიონში

29 დეკემბერს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა ორჯონიკიძის რაიონის სააღწერო პერსონალის (აღმწერები, ინსტრუქტორ-კონტროლიორები და სხვ.) საერთო შეკრება, პარტიულ და პროფკავშირულ აქტივთან ერთად. შეკრებას დაესწრო 500-მდე კაცი.

რაიონში მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მზადების მიმდინარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ორჯონიკიძის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. კასრაძე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქ. სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, აღწერის ბიუროს უფროსმა ამხ. გ. სოლომონიამ, რაიაღრიცხვის ინსპექტორის თანაშემწემ ამხ. დ. ბერიშვილმა, მე-4 სააღწერო განყოფილების გამგემ ამხ. შ. ბერაძემ, პირველი სააღწერო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. პაჭკორიამ, ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა: ს. საკოემა, ნ. აბესაძემ, გ. არეშიძემ და სხვ.

აღწერის სანიმუშოდ ჩატარების მიზნით ყველა სააღწერო განყოფილების გამგეებმა აიღეს კონკრეტული ვალდებულებანი და ჩაებნენ ურთიერთშორის შეჯიბრებაში. შეკრებამ მიიღო ლენინის რაიონის სააღწერო კოლექტივის გამოწვევა.

დასასრულ ნაჩვენებ იქნა მოსახლეობის აღწერისადმი მიძღვნილი სააგიტაციო ხასიათის კინო-ნარკვევი „დიადი გათვლა“.

საბჭოთა ბელორუსიის ოცი წელი

20 წლის წინათ, 1919 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ, რაც სახელოვანი წითელი არმიის ნაწილებმა საბჭოთა მიწა-წყლიდან განდევნეს გერმანელ დამპყრობელთა ურდოები, შეიქმნა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ბელორუსმა ხალხმა ისტორიაში პირველად მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო ბედნიერი და საამური ცხოვრების შენება. ბოლო რამდენი ვაება და უბედურება განიცადა ბელორუსმა ხალხმა მეფის რეჟიმის, იმპერიალისტური ომისა და გერმანიის ოკუპაციის შავბნელ წლებში!

რევოლუციამდელი ბელორუსიის მშრომელი გლეხობა მიწის სიმცირის, მემამულურ-კულაკური კაბალის მარწუხებში იყო მოქცეული. მთელი მიწების ნახევარზე მეტი მემამულეებისა და სამღვდელოების ხელში იყო. ღარიბი გლეხობა საშინელ სილატაკეს განიცდიდა, თავისი პური მას არასოდეს არ ჰყოფნიდა; ის იძულებული იყო ესაზრდოვნა სოკოთი და სუროგატებით.

მეფის მთავრობა, რომელსაც ეშინოდა ბელორუსიის მუშებისა და გლეხების კულტურის და პოლიტიკური აქტივობის ზრდისა, ყველა ზომას იღებდა იმისათვის, რომ სიბნელესა და უმეცრებაში დაეტოვებინა მოსახლეობა, ყოველნაირად უწყობდა ხელს ეკლესიებს, კოსტელებს, ნერგავდა რელიგიურ ბანგს, აღვივებდა ერთა შორის შუღლს. ბელორუსები, ებრაელები, ლატიშები და სხვა ხალხები განიცდიდნენ ორმაგ ჩაგვრას: სოციალურსა და ნაციონალურს.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა ბელორუს ხალხს განთავისუფლება საუკუნეობრივი მონობისაგან, მოაშორა მას კაპიტალიზმის ბორკილები. მაგრამ მალე (1918 წ.) ბელორუსიის [illegible]

დაცინვისა და მხეცობის პასუხად ბელორუსმა ხალხმა ოკუპანტებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველგან ეწყობოდა პარტიზანული რაზმები, რომელნიც აწარმოებდნენ გმირულ ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელებით, ბელორუსმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით მიაღწია უდიდეს წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ეს წარმატებანი მიღწეულია ფაშიზმის საზიზღარი აგენტების — ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშებისა და ნაციონალ-ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც შეიპარნენ ბელორუსიის სსრ ხელმძღვანელ პოსტებზე და რომლებსაც განზრახული ჰქონდათ მოეწყვიტათ ბელორუსია საბჭოთა რესპუბლიკების ძმური ოჯახისაგან.

წარსულში ნახევრადკუსტარული მრეწველობის ქვეყანა, საბჭოთა ბელორუსია ახლა გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ნებისყოფით, მშრომელთა გმირული ღონისძიებებით შექმნილია მძლავრი ინდუსტრია, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული. სტალინური ხუთწლედების მანძილზე ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: სათბობისა, ქიმიური, ტორფისა, მანქანათმშენებლობისა და დაზგათმშენებლობისა. ბელორუსიის ქალაქებში შეიქმნა ახალი, საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები: გომელში — სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა და შუშის ქარხანა, ვიტებსკში — საფეიქრო და კვების მრეწველობის საწარმოები, ბობრუისკში — ხისდამამუშავებელი კომბინატი და სხვ.

[illegible]

თობის ათვისებისა და სამეურნეო გამოყენებისათვის, რომელსაც რევოლუციამდე ბელორუსიის მთელი ტერიტორიის მეოთხედი ნაწილი ეჭირა. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ჩატარდა ჭაობების ინტენსიური ამოშრობა მინდვრის კულტურებისათვის 94 ათას ჰექტარ ფართობზე.

გრძელბოჭკოვანი სელი საბჭოთა ბელორუსიის ოქროს ფონდია. ამ უაღრესად ძვირფასი კულტურის ნათესი ფართობი 1913 წელს მხოლოდ 71,8 ათას ჰექტარს შეადგენდა, 1938 წელს კი აყვანილია 210 ათას ჰექტარამდე. წინათ წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში სელის თესვა სწარმოებდა უნაყოფო და მცირემოსავლიანი თესლით. 1938 წელს კოლმეურნეობებმა სელის მთელი ფართობი სელექციური ჯიშების თესლით დათესეს.

ბელორუსიის სოფელმა ცოტა კი არ წამოაყენა სოციალისტური მინდვრების შესანიშნავი სტახანოველები და სტახანოველი ქალები, რომლებიც მუშაობენ რთული მანქანების მძღოლებად, ტრაქტორისტებად, კომბაინერებად, ფერმების გამგეებად, ბრიგადირებად, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებად და სხვ.

კოლმეურნეობების პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე საბჭოთა ბელორუსიაში იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა, მატერიალური და კულტურული დონე, მაღლდება შრომადღის ანაზღაურება ნატურითა და ფულით.

სოციალისტურ სოფლის მეურნეობას ბელორუსიაში აქვს უმდიდრესი შესაძლებლობანი შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

სტალინური ხუთწლედის მანძილზე, მთელი სახალხო მეურნეობის უდიდეს ზრდასთან ერთად, გაიზარდა და აყვავდა ბელორუსი ხალხის კულტურა, მეცნიერება და [illegible] შაოდან ხსნიდნენ. ამჟამად სასკოლო ქსელში ჩაბმულია ყველა ბავშვი როგორც ქალაქად, ისე სოფლად. სკოლებში სწავლა ბელორუსულ და რუსულ ენებზეა.

რევოლუციამდელ ბელორუსიაში მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო. ახლა კი არის 23. მარტო უკანასკნელ 4 წელიწადში გამოშვებულ იქნა 2.806 სპეციალისტი—ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, იურისტები და სხვ. წლითიწლობით იზრდება ბელორუსიის მუშათა და გლეხთაგან გამოსული ახალი საბჭოთა ინტელიგენციის რიგები. 1928 წლის დეკემბერში ბელორუსიაში მოეწყო მეცნიერებათა აკადემია, რომელშიაც ამჟამად მუშაობს 306 მეცნიერ მუშაკი.

ბელორუსიაში არსებობს 14 დრამატიული თეატრი, ორი სათეატრო სტუდია, სახელმწიფო ფილარმონია, კონსერვატორია, დამთავრდა ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის მშენებლობა მინსკში. ბელორუსიის ქალაქებსა და მუშათა დაბებში ასობით კლუბებია, რაიონებში — კულტურის 88 სახლი და 1.427 ქოხსამკითხველო და საკოლმეურნეო კლუბი.

წარმატებანი, რომლებითაც ბელორუსი ხალხი ეგებება თავისი რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავს, მიღწეულია მის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, თავისი მამის, მეგობრისა და მასწავლებლის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით.

ბელორუსი ხალხი, აღფრთოვანებული გმირული კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი სტალინის მიერ, მოიცვა შემოქმედებითი შრომის ენტუზიაზმმა, სოციალისტური შეჯიბრების ფართო ტალღამ. ყოველ დღეს მოაქვს ახალი, შესანიშნავი სტახანოვური რეკორდები, შრომის მაღალი ნაყოფიერების ახალი აღმავლობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ბელორუსია — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განუყრელი ნაწილი — წარმოადგენს მის დასავლეთი მიჯნების მოწინავე ფორპოსტს.

ხალხის მტრები — ტროცკისტ-ბუხარინელი დივერსანტები და ბელორუსი ნაციონალ-ფაშისტები ოცნებობდნენ ბელორუსიის სსრ გადაქცევაზე გერმანიის ფაშიზმის კოლონიად. მათ უნდოდათ გადაექციათ სოციალისტური საბჭოთა ბელორუსია მომავალი ომის ასპარეზად, ხოლო თავისუფალი და ბედნიერი ბელორუსი ხალხი — ფაშიზმის მონებად.

შინსახკომის სახელოვანმა ორგანოებმა ამოთხვრეს მტრების გველის ბუდეები და განაგრძობენ მათ ამოთხვრას. ბელორუსიის მშრომელნი თვალისჩინივით იცავენ საბჭოთა წყობილებას, სოციალიზმის გამარჯვებებს, ხალხთა დიად მეგობრობას. კიდევ უფრო გავაძლიეროთ ჩვენი სიფხიზლე ხალხის შენიღბული მტრების ამოთხვრისა და მოსპობისათვის!

ორდენოსანი საბჭოთა ბელორუსიის მშრომელნი გულდამშვიდებულნი შესცქერიან ხვალინდელ დღეს. მათ კარგად იციან, რომ ვერავინ ვერ შესძლებს წაართვას მათ მათი მონაპოვარნი, მათი გამარჯვებანი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ვერავითარი ძალა ვერ მოახერხებს გადაახვევინოს მათ შეძლებული ცხოვრების გზიდან, ვინაიდან ამ გზით ისინი მიჰყავს ბოლშევიკების პარტიას, ვინაიდან ამ გზით ისინი მიჰყავს რევოლუციის გენიალურ სტრატეგს — დიდ სტალინს.

კ. კისელიოვი

ბსსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

მეგობრულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელები ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში.
სურათზე: მ. გ. ბუსლოვიჩი (მარცხნივ), წინათ ღარიბი მეჩექმე, ეხლა სარეწაო არტელ „შრომის“ ფეხსაცმლის საამქროს ოსტატი თავისი ოჯახით სტუმრად კოლმეურნეობის მესაქონლე ა. ი. ადაშჩიკთან.

ბაკდესის ფოტოქრონიკა

ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი. წითელი არმიის სახლი.

იანკა კუპალა

ბელორუსიის სახალხო პოეტი, ორდენოსანი

ბელორუსიას ორდენოსანს

ვიშ, რა წითლად შეუღებავს
ყაყაჩოებს ქალაქი!
ალისფერი დროშით ღელავს
ჩემი დედაქალაქი.

ფეთქავს გული. ვიშ, რამდენი
ზეიმობს და ხალისობს!
—თეთრ პოლონელთა განდევნის
დღეს წლისთავი არისო!

ნანგრევიდან ზეცას აღებს
და რა ტურფად ითვება
მინსკი—ჩემი სიამაყე,
ჩემი ქვეყნის დიდება.

სადაც წინათ ნაცარ-ტუტად
იქცა მშრომელთ სახლები,
ზეცის კალთას ებჯინება
სასახლეთა თაღები.

სადაც სისხლით ზეიმობდნენ
ინტერვენტთა ბანდები,
გამარჯვების ჰანგს მიიმღერს
ვიშ, სტუდენტი რამდენი!

სადაც იყო სამარე და
შავი უღაბურება,
ინდუსტრიათ აგუგუნდა
რესპუბლიკის ბუნება.

და მუშაობს დამკვრელურად
ჩვენი ხალხი მშრომელი,
გულით—ფოლადს, თვალით —
არწივს
შეედრება რომელი?

განა დიდი ხანი არის,
რაც შენ მტერი ძლიერი
მოსპე... და დაიმკვიდრე
ცხოვრება ბედნიერი?

ვინ მოსთვალოს მიღწევები?!
შენი შვება მზიანი?!
შენი შვილი მხოლოდ ახლა
გახდა ადამიანი!

დათავთავდი, ბელორუსო,
ნატანჯო მტრის თარეშით,

დღეს ყველასთან თანასწორო
საბჭოეთის მხარეში!

მაღალ ჯილდოს დღეს გაძლევენ
დღეს შენ ყველა გაფასებს
მაშ იმღერე, იზეიმე —
შენს ველზე და დაზგაზე.

და ანკარა წყალმა სახე
რა საოცრად გაბადრა
მაშ, ყვავილით მოიკაზმე,
მზე ჩაიცვი კაბადა!

ბელორუსო, გაიხარე
შენი ჭალა—კორდებით, —
შრომისათვის გულს ვიმშვენებს
დღეს ლენინის ორდენი.

იცოდე შენს გამარჯვებას
შვებითა და წადილით
ყოველ დღეს და ყოველ წუთში
იზიარებს სტალინი!

სთარგმნა **ბიძინა აბულაძემ**

გიორგი ლეონიძე

ვუმღერ სამშობლოს

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები;
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები!

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები;
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე—მისი მშვენების ოქით
ერთ ნაბიჯითაც არ მდომებია!

აყლერდეს მისთვის პოეტის ენა,
და ტკბილი სიტყვის გამართულობა;
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა, —
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!

მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

სოციალიზმის აყვავებულ ქვეყანაში

საბჭოთა ხალხის მძლავრი ერთიანობა

1938 წელს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურმა ბლოკმა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სსრ კავშირის ხალხებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს თავისი ნდობა, სიყვარული და ერთგულება ბოლშევიკური პარტიისადმი, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინისადმი, თავისი ურყევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თავისი დიადი მეგობრობა. „ხოლო მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის—დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“. (სტალინი).

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით სსრ კავშირის ხალხებმა კვლავ ცხადჰყვეს თავისი ღრმა სიძულვილი სოციალიზმის საზიზღარი მტრებისადმი — ფაშისტური ოხრანკების ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტებისადმი. ამ არჩევნებმა ცხადჰყვეს, რომ სსრ კავშირის მშრომლებს მტკიცედ ახსოვთ ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის საშიშროების შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა ვიყოთ „მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელი....“

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატებად არჩეული არიან ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილები. 1938 წელს შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორი სესია.

განუხრელი აღმავლობით

1938 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის მსხვილმა მრეწველობამ მოგვცა 12,5 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში: ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ მსხვილი მრეწველობის დარგში პროდუქცია გაიზარდა 7 მილიარდი 150 მილიონი მანეთით.

თავისი უდიდესი ძალა კვლავ გვიჩვენა ჩვენმა სოციალისტურმა მიწათმოქმედებამ. გვალვის მიუხედავად პოვოლჟიეში და მის მეზობელ ზოგიერთ რაიონში მარცვლეულ კულტურათა საერთო მოსავალი 1938 წელს უფრო დიდი იყო, ვიდრე 1936 და 1935 წლებში და რამდენადმე ნაკლები 1937 წლის საერთო მოსავალზე, როდესაც მიღებულ იქნა სარეკორდო მაღალი მოსავალი.

უდიდესია სსრ კავშირის კულტურული მიღწევები 1938 წელს.

ყველა ეს გამარჯვებები წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ „ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შორის იზრდებიან სახელოვან სტახანოველთა და სტახანოველ ქალთა რიგები, რომ ახალგაზრდობიდან და საბჭოთა ინტელიგენციის ახალი ფენებიდან სულ უფრო სწრაფად იზრდებიან კულტურის, ტექნიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების შესანიშნავი მუშაკები“ (ვ. მ. მოლოტოვი).

ბოლშევიზმის ბასრი იარაღი

1938 წელს გამოქვეყნდა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი“. პარტიის ისტორიის შესწავლა გვეხმარება ბოლშევიზმის დაუფლებაში, გვიმაღლებს პოლიტიკურ სიფხიზლეს, განგვიმტკიცებს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების რწმენას.

მოწინავე მეცნიერებისათვის

17 მაისს უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე ამხანაგმა სტალინმა წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, რომელიც მიმართული იყო შრომისა და მეცნიერების ყველა ადამიანისადმი, მოხუც და ახალგაზრდა მეცნიერთადმი, სტახანოველებისა და სტუდენტობისადმი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი. დიდი ბელადი და მასწავლებელი ლაპარაკობდა მოწინავე მეცნიერებაზე, „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან თავის კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“.

სამურაებმა საკადრისი პასუხი მიიღეს

„ხასანის ტბასთან მომხდარი ამბები—ეს ხომ ომი არ არის. ეს ომის პროვოკაციაა, თავხედური შეიარაღებული გამოსვლაა. მოუსვენარი და, ცოდვა გამხელილი სჯობია, უჭკუო მეზობლისა (**სიცილი, ტაში**).

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ კორეისა და კვანტუნის არმიების ბატონი იაპონელი გენერლები ოცნებობდნენ „უჩხუბრად გამხდარიყვნენ დიდი მოჩხუბრები“. ისინი ფიქრობდნენ, რომ იოლად, სწრაფად და იაფად ხელში ჩაიგდებდნენ საბჭოთა მიწაწყლის ნაკვეთს და შემდეგ მთელს მსოფლიოს მოსდებდნენ თავისი მამაცობისა და წითელი არმიის სისუსტის ამბავს. ისინი ძლიერ მოსტყუვდნენ. წითელმა არმიამ სასტიკად დაამარცხა ისინი“ (ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მიერ 1938 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე წარმოთქმული სიტყვიდან).

სამშობლოსათვის! სტალინისათვის!

...ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით, რომ ჩვენს უკან დგას მძლავრი ქვეყანა, და ეს კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენს საბრძოლო განწყობილებას.

იერიშზე უნდა გადავსულიყავით. იაპონელი სამურაები ქარიშხლისებურად გვიშენდნენ. პარტორგმა, კომკავშირის ორგანიზატორმა და მე ხოხვით შემოვიარეთ მებრძოლები და ვეუბნებოდით მომზადებულიყვნენ იერიშისათვის.

კომკავშირის ორგანიზატორმა ამხ. იაკოვლევმა შესძახა:

— ამხანაგი სტალინისათვის, წინ!

მარცხენა ფლანგზე მას გამოეხმაურა პარტორგი ამხ. ვეტროვი:

— წინ, სამშობლოსათვის!

იგრიალა „ურამ“. ორმოცი წუთის შემდეგ მაღლობ ზაოზერნაიაზე ამაყად აფრიალდა სსრ კავშირის სახელმწიფო წითელი დროშა.

პრიმორიეს 1-ლი არმიის № ნაწილის ასეულის პოლიტხელის ა. კაშირინის ჩანაწერებიდან.

სახალხო საბჭოთა ინტელიგენცია

საბჭოთა დემოკრატიის აყვავების ბრწყინვალე მაჩვენებელს წარმოადგენს ზრდა ჩვენი საბჭოთა ინტელიგენციისა, რომლის ცხრა მეათედი შესდგება მუშებისა და გლეხების რიგებიდან გამოსული ადამიანებისაგან.

„გუშინ მუშა—დღეს ინსტრუქტორი, უბნის უფროსი, დირექტორი.

გუშინ მუშა — დღეს სტუდენტი. გუშინ სრულიად უჩინარი ადამიანი, დღეს კი მთელი ქვეყნის მიერ პატივცემული. ასე ვიზრდებით ჩვენ. ასე იზრდებიან ადამიანები ჩვენს ქვეყანაში“, — სწერს ამხ. სტახანოვი.

ჩვენი ინტელიგენცია — საბჭოთა ხალხის უზარმაზარი რაზმია. იგი ითვლის 9-10 მილიონ კაცს. მხოლოდ მსხვილ მრეწველობაში ითვლება 578 ათასი ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკი. ჩვენ უკვე გვყავს 100-ათასზე მეტი ექიმი, მილიონამდე მასწავლებელი. სოფლის მეურნეობაში მუშაობს 250 ათასი აგრონომი და სხვ. სპეციალისტი.

საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაული

1938 წლის 29 ოქტომბერს საბჭოთა ახალგაზრდობამ იდღესასწაულა ორგზის ორდენოსანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავი. მოსკოვის სტალინის სახელობის ავტოქარხნის კომკავშირელთა ინიციატივით მილიონობით კომკავშირელებმა და კავშირგარეშე ახალგაზრდობამ აღნიშნეს ეს იუბილე საჩუქრებით თავისი დედა-სამშობლოსადმი: საწარმოო გამარჯვებებით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ტრანსპორტზე, საუკეთესო სწავლით, მეცნიერული შრომებით, ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებით. 1938 წლის პირველ ნახევარში კომკავშირში შევიდა მილიონნახევარზე მეტი კაცი.

ამჟამად საკ.ა. ალკკ აერთიანებს 6-ნახევარ მილიონამდე ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალებს—საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილს.

საბჭოთა კავშირის გმირის ი. დ. პაპანინის დღიურიდან 7 თებერვალი.

ღამე დაძაბული იყო. ყველას გაუხდელად გვეძინა. განმეორდა ყინულის შეკუმშვა. ქარი გაძლიერდა. ყინული ჩვენს ქვეშ სულ ქანაობს. „ტაიმირმა“ უკვე გვიარა გზის მესამედი. ამჟამად იგი შტორმშია მოყოლილი, დრეიფობს. „ერმაკი“ უკვე ემზადება ზღვაში გამოსასვლელად. დიდი სიხარულით ვფიქრობ, რომ ჩვენთვის ზრუნავს მშობლიური ამხანაგი სტალინი.

...მინდა ვუთხრა ჩვენს მეგობრებს დიდ მიწაზე:

ნუ სწუხართ! ჩვენ თავს გავიტანთ!

გმირული გადაფრენა

1938 წლის 27-28 ივნისს მფრინავმა ვ. კ. კოკინაკიმ და შტურმანმა ა. მ. ბრიანდინსკიმ თვითმფრინავ „მოსკვათი“ მოახდინეს გმირული გადაფრენა საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან ვლადივოსტოკის რაიონში ხაბაროვსკზე გავლით.

24 საათისა და 36 წუთის განმავლობაში სახელოვანმა საბჭოთა შევარდნებმა უძნელეს პირობებში ფრენით გაიარეს 7.600 კილომეტრზე მეტი. ამხანაგებმა კოკინაკიმ და ბრიანდინსკიმ ახალი შესანიშნავი ფურცელი ჩასწერეს ავიაციის ისტორიაში.

საბჭოთა კავშირის გმირის მარინა რასკოვას დღიურიდან 25 სექტემბერი.

ვალენტინამ გადასწყვიტა ძირს დაშვება. სხვა გამოსავალი არ არის: სახარჯო ავზში მხოლოდ 30 წუთის სამყოფი ბენზინი დარჩა. ჩვენს ქვეშ ჭაობია. ვიღებ მეთაურის ბრძანებას: გადახტი! ვხტები ორი ათასი მეტრის სიმაღლიდან. მაქვს... ორი ნაჭერი შოკოლადი.

5 ოქტომბერი.

ეჭვი არ მეპარება, რომ „როდინა“ იპოვნეს და რომ მე სწორი მიმართულებით მივდივარ თვითმფრინავისაკენ... დავიღალე. ვწვები დასასვენებლად. ჯერ კიდევ დილით, ჭაობზე რომ მივდიოდი, დავკარგე ერთი უნტი.

დასვენების შემდეგ გავედი ჭაობზე, შემოვუარე ტყის კუთხეს და ვარკვევით დავინახე: მზეზე ბრწყინავს თვითმფრინავ „როდინას“ ვერცხლისფერი სტაბილიზატორი. მოვიკრიბე ძალღონე და გავწიე თვითმფრინავისაკენ... ვისროლე უკანასკნელი ვაზნა... გამოიქცნენ ჩემს შესაგებებლად... მივედი თვითმფრინავთან, გავსინჯე ჩემი კაბინა. ყველაფერი მთელია, ყველა ხელსაწყო წესრიგშია. ვალენტინამ ოსტატურად დაუშვა მანქანა...

საბჭოთა კულტურის ზრდა

1938 წელი აღსავსე იყო უდიდესი გამარჯვებებით კულტურულ ფრონტზე — ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების ფრონტზე.

—დიდი წარმატება ჰქონდა აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადას მოსკოვში. მან ცხადჰყო აზერბაიჯანელი ხალხის ნაციონალური ხელოვნების უმაგალითო აყვავება.

— გაიხსნა დიდი მხატვრული გამოფენა, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისადმი. ფერწერის სკულპტურისა და გრაფიკის რამდენიმე ასეული ნაწარმოები მონუმენტალურ სახეებში ასახავენ საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ძალთა სახელოვან გზას. გამოფენა უდიდესი წარმატებით სარგებლობს. პირველი შვიდი თვის განმავლობაში იგი ნახა სამასი ათასამდე კაცმა.

— ზეიმით იდღესასწაულეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებმა კაზახსტანის სახალხო მომღერლის ჯამბულის შემოქმედებითი მოღვაწეობის 75 წლისთავი. მთავრობამ სახელოვანი აკინი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

— ბრიუსელში ეჟენ იზაის სახელობის საერთაშორისო კონკურსში ჩვენი პიანისტების ემილ გილელსის და იაკობ ფლიერის გამარჯვებამ, მოსკოვში დირიჟორების, კვარტეტების, ვოკალისტების საკავშირო კონკურსების შედეგებმა ცხადჰყვეს საბჭოთა მუსიკალური კულტურის ახალი განსაკუთრებული მიღწევები.

— მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის 40 წლისთავი მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ აღნიშნა როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურის გამოჩენილი დღესასწაული.

— ახალგაზრდა მეცნიერთა საკავშირო კონკურსზე შემოვიდა 3 ათასზე მეტი შრომა. საბჭოთა კავშირის 18 ეროვნების ახალგაზრდა მეცნიერთა 600 გამოჩენილი ნაშრომი გაგზავნილია მოსკოვში ცენტრალურ ჟიურიზე. უმაღლესი შეფასება მიიღეს ახალგაზრდა საბჭოთა მათემატიკოსების მეცნიერულმა შრომებმა.

— წელს საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში და აკადემიებში მიღებულ იქნა 166 ათასი ახალი სტუდენტი.

— 1938 წელს საბჭოთა ეკრანებზე გამოვიდა რამდენიმე ათეული საინტერესო შინაარსიანი სურათი, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა კინოს ახალ ზრდას. არაჩვეულებრივი წარმატება ხვდათ ფილმებს „თოფიანი კაცი“ და „დიადი განთიადი“, რომლებშიც ნაჩვენები არიან ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. უდიდესი ინტერესი გამოიწვია ისტორიულმა ფილმმა რუსი ხალხის გმირობაზე და პატრიოტიზმზე — „ალექსანდრე ნეველმა“.

◆

საქართველოს წარსულიდან

(ისტორიული ქრონიკები)

ამოკრებილი გიორგი ლეონიძის მიერ

თავისუფალი საბჭოთა საქართველო, აყვავებული ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკის განხორციელების შედეგად და სტალინური კონსტიტუციით გასხივოსნებული, უდიდესი მიღწევებით ხვდება ახალს, 1939 წელს.

მაგრამ ამ ბრწყინვალე გამარჯვებამდე ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნეები განვლო მონობისა, შევიწროვებისა, ჩაგვრისა და აოხრებისა.

ქვემოდ აღნიშნული ისტორიული ქრონიკები და ლექსები ამოჰხატავენ საქართველოს შავბნელ წარსულს, როცა ჩვენი ქვეყანა, გავერანებული და იავარქმნილი გარეშე დამპყრობლებისა და ქართველი ფეოდალების უწყალო თარეშით, ხშირად ეკონომიურად დაცემული და პოლიტიკურად განადგურებული, მაინც იჩენდა სასიცოცხლო შემოქმედებითს ძალას თავისი არსებობისა და კულტურის გადასარჩენად. „შავმა დრომ“ თავისი მოშხამული ჰაერით განვლო და თან წაიღო ძველი შავ-ბნელი დროის ამბები.

ახლა, როდესაც გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა სიხარულით ეგებება 1939 წელს, ინტერესსმოკლებული არ იქნება ჩვენი ცხოვრების წარსულის ზოგიერთი დოკუმენტის გახსენება, რომ კიდევ უფრო უკეთ წარმოვიდგინოთ, რანი ვიყავით წინათ და რანი ვართ დღეს — დიად სტალინურ ეპოქაში.

○

XVIII საუკ. 30-იან წლებში, „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი ორბელიანთ მამული. და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთაოებში. აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს. მცირედნი კაცნი ქვეშის ციხეში იდგა... იყო ცემა ლეკებთან მარადის და ოხრება. მთელ სომხითში ბოლნისის მეტი და სამშვერისის მეტი შენობა არ იყო. ორბელიანთა მამულიც ასე დაიცალა, რომ დმანისის და ფიტარეთის მეტი — შენობა აღარსად იყო“.

ქართლის ცხოვრება, 238, 144

○

„მოვიდიან ლეკნი ბევრჯერ და ქალაქის გარემოთ ბაღებიან წისქვილებთან მოითარეშიან. უკეთუ ერთისა მხარესა გავიდის ქალაქიდან მებრძოლი და დააყრევინის და გააქცევის, მეორესა მხარესა დაკვრიან და წავიდიან“.

ქართლის ცხოვრება, 227

○

...„ბიძა ჩემი აქეთ დიარბექირს მოსულ იყო და შვილის საძებნელად და ვერ ეპოვნა. ახლა მეც ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ ვნახე. კიდევაც თვალი მიჭირავს თუ ვნახე, ჩემთან მივიყვან. მღვთით, თუ დედაჩემის ამბავს იკითხავთ, შევიტყე, რომა სტამბოლს, უსკუდარს წაუყვანიათ — სურჯ-აღასი. მუსტაფააღას ეძპიან იმასთან წაუყვანიათ და ჯერ სწორე ამბავი—ვერ შევიტყე. ახლა ჩემი ძმების ამბავს იკითხავთ, იმათიც ვერა გავიგერა, ახლა ჩემი ხანუმის ამბავს იკითხავთ, ღვთით,—დიარბექირს, ერთს ფრანგსა ჰყავნან და დავიხსენი და აქ სომხის სახლში არის ოთხას მარჩილად დავიხსენი. მე იქვე ბაღდადს გავლავარ“.

ძველი საბუთი XVIII საუკუნისა
იხ. ც. არქივის სიგელების ფ. № 24, 101.

○

1820 წ. ქართველ მოგზაურმა გიორგი ავალიშვილმა სტამბოლში, ქაირში, ალექსანდრიაში (ეგვიპტე) ნახა გაყიდული ქართველი გლეხები, — მოტაცებული პატარძეულიდან, მარტყოფიდან და სხვ.

იხ. მისი მოგზაურობა.

○

...„შავს ტყეში დიდი ლეკიანობა იყო, რაც ხე გაანძრეოდა ლეკი მეგონის და თოფი მზად მქონდა, თუ გაჩენილიყო რამე. თოფი რას შემეწეოდა მომკლავდნენ“!

იასე ოსესშვილი, 53.

○

„ვეცადე დიდად სიმართლესა და ხელს, მაგრამ ლეკისაგან გვეშინოდა თუ რამე უცბად მეწეროს, ნუ დამწყევლით, გევედრებით“!

XVIII საუკ. გადამწერელი

○

...„ავი დრო იყო, ყოველდღე აკლებას მოველოდით, ლეკებისაგან აკლებასა, საქართველოს სრულიად დაჭერასა, ყოველდღე დიდს ჯარებს გამოველოდით და საქართველოს წალეკვასა, დატყვევებასა და დიდი გამარჯვება იქნებოდა, თუ რუსეთს დავიკარგებოდით“!

თავგადასავალი **იესე ოსესშვილისა**, 7.

○

რა ვქნა, ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მომელანდება:
რა ფიქრს მომივა: თვით ნანგრევნიც იქნება გაჰქრნენ
და მათ სახელნი, მათ ხსენებაც აღარსად დარჩნენ!..

ვახტანგ ორბელიანი.

○

თავადი დადიანები თავის საყმოს „სოფელში ორი კვირა იყვნენ სტუმრად. ყოველდღე გლეხნი თვისთა მოსადგურეთა უმასპინძლდებოდნენ თხებითა, ღორითა, ქათმითა, კრავითა, ქვევრების მოხდით და ღვინოებით, ღომით, სიმინდით ღომის ჩალით და ცხენთათვისაც აუხდიდნენ დაფარულ სახლებს. და აჭმევდნენ ცხენთ, სწვამდენ ჭიგოთა, სართა და აქცევდნენ ვენახთა და ბაღთა ღობეებს და ბევრჯელ სახლებსაც გვერდებს გამოუქცევდნენ დასაქცევად.

იონე ბატონიშვილი „კალმასობა“.
საისტ. საკონ. მუზ. ხელნაწერი № 2134

○

თავს რეხავ, ბოლოს ექანო,
შუაში ბეშკანაშენო!
თუ მტერმა ასე გვირია
სახლი როდის ავაშენო?
ვინდა სახლი ავაშენო,
შიგ როდისღა მოვისვენო?

ხალხური ლექსი XVIII საუკუნისა

უსამართლობით არ ისხამს
ეს კარალული კაკლები.
იასაული არ მოვა
თორმეტ-თორმეტზე ნაკლები!

ხალხური

მზე თუ ხარ, დაბლა ჩამოდი
მაღლა მთას რას ეფარები!

ხალხური

○

...„ვისაცა მოუკვდებოდის ცოცხალი, ეგოდენ მკვდარსა არა ტიროდენ, რაოდენსაცა ჭირისუფალნი მოელოდენ აკლებასა სამღვდელოთაგან!“

მღველმანზონი **იონა ხელაშვილი** (იხ. წერაკითხვისეული ხელნაწერი № 1532)

ყმის ყველა ბატონისა არის, სულის გარდა.

ვახტანგის სამართალი.

○

...ხომ ჩვენი ქალაქია (თბილისი), მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბარგებულან და გაპიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსო, ლეჩაქი რა არის ლეჩაქიც კი ვეღარსად დაგინახავს. თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო.

ცენზორისაგან ამოშლილი **ილია ჭავჭავაძის** მოთხრობიდან „უცნაური ამბავი“.

○

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო!

ი. ჭავჭავაძე, 6 აგვისტო, 1861 წ.

○

ვინ აღირსებს გლეხიკაცსა,
იფქლის პურსა საჭმელადა,
იფნის შეშას — საწველადა,
სიყმის შვილსა — საზრდელადა!

ხალხური

○

„ჩვენ ბარათაშვილმა იასემ და დავით,—შენ ანდრონიკაშვილს ჯანაოზს და შვილთა შენთა... მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ლონიაშვილი პაატა და მისი ძმა შაბარა, კიდევ მისი ძმა დათუნა, მისი შვილებით და გამოგართვით ფასად ოქროს ხანჯალი“...

1689 წლის სიგელი

○

...„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, მაშინ ხეტავი შენ, რომ ძაგ შენი სიკვდილით წინ უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ხახავ!“

აკაკი წერეთლის სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე.

○

...„მოხდება ხოლმე, რომ ხანდახან გროში არა გაქვს ჯიბეში, აქეთ სახლის პატრონი ჩაგციებია და არ გეშვება — მოიტა ფულიო, იქით მოეცხავი ერთ ალიაქოთშია — მანეთხაევარი იყო შეხზე და ახლა კი ორი მანეთამდის ავიდა, რას მიპირებ, რომ აგვიანებო! თამბაქო — იოხ! სადილის ფულს ხონთქარი თუ გამოგიგზავნის, შენ კი ამ დროს მისჯდომიხარ სტოლს და სწერ რაზე, როგორ გგონია მკითხველო? — შიუჯეტზე, სხვადასხვა სახელმწიფოების მდგომარეობაზე“.

პუბლიცისტი **ილია ხონელი**

○

რადგან წვრილ ერებს არ შეუძლიათ მთელი კაცობრიობის ორგანოთ შეიქმნენ ამის გამო ისინი უნდა გაუქმდენ და თვითონ წვრილი ერები, თავისათვისა და საზოგადოთ მთელი კლასობრიობის ბედნიერებისათვის უნდა სამუდამოთ გაქრენ და აღიხოცონ დედა-მიწიდან.

გ. მუხრანსკი. «О существе национальной индивидуальности».

○

აჩვენე შენი კალამი
ნაწები სისხლის გუბეში!

ვაჟა ფშაველა—ალ. ყაზბეგს.

○

...„მე მინახიხარ ისეთს გაჭირვებაშიც, როდესაც გათოშილს თითებს ილხობდი პირის ორთქლით, რომ გეგეგრძელებინა წერილი და მახსოვს, რომ იმავე დროს მთელი შენი აზრი მიპყრობილი ყოფილა გაზეთის ქაღალდის ფულის შოვნისათვის“...

ალ. ყაზბეგის სიტყვა სერგეი მესხისადმი.

○

...ერთად ეცადენით, ერთად იზრუნეთ ჩვენის ენისათვის, არ დავცეთ, არ მოვსპოთ, მტერნი გაიხარებენ, სხვათა ენის ხალხთ ეამებათ, დაგვცინებენ, გაგვკიცხამენ და რა ნამუსი იქნება ჩვენთვის. უნდა იცოდე, რამდენი გასავალია „ცისკრისა“ ტიფოგრაფიაზედ და იფიქრე, რა მდგომარეობაში ვიქნები და მე რაღა ზურგის შემოქცევა მინდა...

„ცისკრის“ რედაქტორის ივანე კერესელიძის წერილი რაფიელ ერისთავისადმი. 1856 წ.

○

ამჟამად (1870 წ. 30 დეკ.) „დროებას“ სამასამდი ხელის მომწერი ჰყავს და ამ რიცხვიდან თითქმის ასს ჯერ არ შემოუტანიათ გაზეთის ფული. გამოიანგარიშეთ—რა დარჩება და მერე თქვით აქვს საზოგადოებას უფლება ემდუროდეს „დროებას“ თუ არა?

„დროების“ რედაქციის წერილი 1870 წ.

○

...„რამდენი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს „დროებას“? თუმცა გვრცხვენიან ამ რიცხვის გამოთქმა, მაგრამ მაინც ვიტყვით: „დროებას“ ახლა ორი მუდმივი თანამშრომელი ჰყავს, რომელიც რედაქციას შეადგენენ... მაგრამ საქმეც ის არის, რომ გაზეთი ამ ორ კაცსაც ვერ აძლევს იმდენ ღონისძიებას, რომ იმის გამო გაზეთის ხარჯსაც ბუვიდეს და იმათაც; ამის გამო ისინი იძულებულნი არიან სხვა პურის მძლეველ საქმესაც მოჰკიდონ ხელი. ეს გახლავან „დროების“ მუდმივი თანამშრომლები“.

„დროება“ 1878 წ.

○

...„მადლობა ღმერთს! დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო წელს ერთ ქართულ წარმოდგენას ველირსე“!

ს. მესხი, ქართველს წარმოდგენაზე
„დროება“, 1875 წ.



ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი. საბჭოთა და ენგელსის ქუჩების კუთხე.

საქართველოს მანქანათმშენებლობა 1939 წელს

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობის მთავარი სამმართველო აერთიანებს 10 მანქანათმშენებელ ქარხანას. ამ ქარხნებმა მომავალი 1939 წლის განმავლობაში ქვეყანას უნდა მისცენ 35 მილიონი მანეთის მანქანები და მოწყობილობა.

მანქანათმშენებელ ქარხნებთან არსებულ საკონსტრუქტორო ჯგუფებში დამზადებულია და ახლაც მზადდება ახალი კონსტრუქციის მანქანათა ნახაზები და პროექტები. მარტო 26 კომუნარის სახელობის ქარხანა მომავალ წელს გამოუშვებს 20 სახელწოდების სხვადასხვა მანქანებს. მათ შორის 10 სახელწოდებისა ახალი კონსტრუქციის იქნება. ეს ქარხანა მომავალ წელს მოგვცემს აბრეშუმის საქსოვ და საფეიქრო მრეწველობისათვის მეტად საჭირო ახალი, საშრობი საბჭოთა კონსტრუქციის მანქანის პირველ ეგზემპლარს. გამოშვებული იქნება აგრეთვე აბრეშუმის ძაფსახვევი ახალი სისტემის მანქანები, რომლებმაც უნდა შესცვალონ ყველა მოძველებული იტალიური მანქანები („ბატალიის“ სისტემისა).

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა წელს მოგვცემს 5 სახელწოდების ახალ მანქანებს (სულ ეს ქარხანა მომავალ წელს 19 სახელწოდების მანქანებს გამოუშვებს).

26 კომუნარისა და ორჯონიკიძის სახელობის ქარხნებში 1939 წელს კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება საკონსტრუქტორო მუშაობა ჩვენი მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო ახალი მანქანებისა და მოწყობილობის დასამზადებლად.

ნაძვისხეები. სპექტაკლები. შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან

სსრ კავშირის სახალხო არტისტების ი. მოსკვინის, ვ. ბარსოვას, ყაზახეთის სახალხო მგოსნის ჯამბულ ჯაბაევისა და ხელოვნების სხვა ოსტატთა — ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანების შესანიშნავი თაოსნობის მიხედვით, თბილისის თეატრების წამყვანი არტისტები, ხელმძღვანელები და კომპოზიტორები ჩაებნენ თეატრების, კლუბების, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმომჩენ მუშაობაში, რათა რაც შეიძლება უკეთ იქნას მოწყობილი ბავშვთა დასვენება ზამთრის არდადეგების დროს.

ამ საკითხის გამო ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ მოწვეულ თათბირზე საქართველოს ხელოვნების მუშაკები მიესალმნენ მოსკოველი ამხანაგების ინიციატივას და გამოსთქვეს მხურვალე სურვილი ხელი შეუწყონ ბავშვთა დასვენების საუკეთესოდ მოწყობას.

თბილისის ყველა თეატრი აწყობს დილის გაიაფებულ წარმოდგენებს.

საოპერო თეატრი არდადეგების დღეებში აჩვენებს: ბალეტს „ესმერალდას“, ოპერებს „სევილიელ დალაქს“, „ქეთო და კოტეს“, „დაისს“. 31 დეკემბერს, 6 და 7 იანვარს მოეწყობა ნაძვისხე საჩუქრებითა და დივერტისმენტით, იმავე დღეს, 31 დეკემბერს, შესდგება დიდი კოსტიუმირებული საღამო.

რუსთაველის სახელობის თეატრი სდგამს დილის წარმოდგენებს. დადგმული იქნება შემდეგი პიესები: „ფოლადაური“, „სულელი“, „ნაპერწკლიდან“ და „უდანაშაულოდ დამნაშავენი“.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგმება პიესები: „ურიელ აკოსტა“, „კოლმეურნის ქორწინება“, „შური“, „ფიგაროს ქორწინება“, „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „ნაპერწკლიდან“.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი დასდგამს შემდეგ პიესებს: „მეშჩანე“, „პირისპირ“, „უკანასკნელნი“, „რევიზორი“ და „ტალანტები და თაყვანისმცემელნი“.

სომხური დრამის თეატრი დასდგამს პიესებს: „ბრმა მუსიკოსი“, „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, „ძია ბაღდასარი“, „გაპარტახებული ოჯახი“ და „პეპო“.

აზერბაიჯანული დრამის თეატრი დასდგამს — „პირისპირს“, „არშინ მალ-ალანს“.

რუსული მოზარდ-მაყურებლის თეატრი დასდგამს „შუქურას სინათლე“, „დიდი მწყალობელი“, „თეთრად მოსჩანს აფრა ეული“.

ქართულ მოზარდ-მაყურებლის თეატრში დაიდგმება — „სკაპენის ოინები“, „ცეცხლის ხაზზე“ და „წითელქუდა“.

სომხური მოზარდ-მაყურებლის თეატრი დასდგამს — „ემაწველი“ და „ვაჩიკი“.

მოზარდ-მაყურებლის ყველა თეატრში ბავშვებისათვის მოეწყობა ნაძვისხეები საჩუქრებითა და თამაშით, და აგრეთვე შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან—უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან და წარმოების სტახანოველებთან. საღამოები, ნაძვისხეები, წარმოდგენები ეწყობა ბავშვებისათვის 29 დეკემბრიდან 12 იანვრამდე ჩათვლით.

ვაგონები ნაძვისხეებით

თბილისის სადგურიდან ამიერკავკასიის რკინიგზის საველე სადგურებზე გაემგზავრა მხატვრული აღზრდისა და ბავშვთა შორის ტექნიკური პროპაგანდის სახლის 2 ბრიგადა. თვითეული ბრიგადის განკარგულებაშია 2 ვაგონი.

საზამთრო არდადეგების განმავლობაში 12 იანვრამდე ბრიგადები მოივლიან 27 საველე სადგურს საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში. ამ სადგურებზე ხანგრძლივი გაჩერების დროს ბრიგადები ჩაატარებენ მხიარულ საღამოებს იმ ბავშვებისათვის, რომელნიც სადგურებზე ცხოვრობენ. ბრიგადების ვაგონებში გაჩირაღდნებენ მორთულ-მოკაზმულ ნაძვისხეებს, ბავშვებს უჩვენებენ საბავშვო სამულტიპლიკაციო ფილმებს, გამართავენ კონცერტებს, მოაწყობენ მასობრივ თამაშობას, და სხვ. ბავშვები, რომელნიც ნაძვისხეს დაესწრებიან, მიიღებენ საჩუქრებს. (საქდესი).

თბილისი. კალიაევის აღმართის საერთო ხედი.
ფოტო ვ. სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

★

ციტრუსების კრეფა

ლიმონის კრეფა და დამზადება საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმეტესობამ უკვე დაასრულა. საქართველოში სულ დამზადებულია 2.690 ათასი ლიმონი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.500 ათასისა. გეგმა შესრულებულია 104,4 პროცენტით. გაჩაღებულია მანდარინის დამზადება, მოკრეფილია 2.484.100 მანდარინი, ანუ გეგმის 55,4 პროცენტი.

ბავშვთა სიხარული

კოჯრის საბავშვო ახალშენის 600 ბავშვისაგან შემდგარი კოლექტივი სიხარულით მოემზადა ახალი წლის შესახვედრად. საბავშვო ახალშენის დირექციამ ამ დღის ჩასატარებლად 6.000 მანეთი გადასდო. შეკვეთილია 3 ნაძვისხე. ერთი ხე დაიდგმება საბავშვო ახალშენის კლუბში, მეორე საბავშვო ბაღში, მესამე კი მე-6 საბავშვო სახლში.

ახალი წლის შესახვედრად მოწყობილ საღამოზე მოწვეული არიან ახალშენში გაზრდილი ის ბავშვები, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებში იმყოფებიან. **ქ. ბეჟუაშვილი.**

ეკ. სოხაძის კონცერტები მოსკოვში

საქ. სსრ დამსახურებული [illegible] ორდენოსანი ეკ. სოხაძე ამჟამად იმყოფება საგასტროლოდ მოსკოვში. ამხ. სოხაძემ უკვე გამართა რამდენიმე კონცერტი, რომლებმაც წარმატებით ჩაიარეს.

„ვეჩერნაია მოსკვა“ 28 დეკემბრის ნომერში ათავსებს ს. კორევის რეცენზიას სათაურით „ეკატერინე სოხაძის კონცერტი მეცნიერთა სახლში“.

რეცენზენტი სხვათაშორის სწერს: „თავის კონცერტზე 27 დეკემბერს, მეცნიერთა სახლში, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. სოხაძემ კვლავ შეასრულა ეთერისა და მაროს არიები და მისმა არტისტულმა ნიჭმა მოაჯადოვა აუდიტორია. ე. სოხაძის ხმა არ შეჩერებულა დეკადის შემდეგ, წინანდებურად ძლიერად და თავისუფლად ბგერს მისი საუცხოო, თავისებური თბილი ტემბრის ხმა, კარგად განვითარებული ყველა რეგისტრში, განსაკუთრებით მაღალ რეგისტრებში. დასახელებული საოპერო არიების გარდა ე. სოხაძემ შეასრულა გოკიელის, კოკელაძის, შავერზაშვილის, არაყიშვილის რომანსები. მათს შესრულებაში არტისტმა შეიტანა ბევრი სირბილე, გულთბილობა, ოსტატობა. დამსწრე საზოგადოება კარგად ხვდებოდა ამ რომანსების შესრულებას. დიდ და ღრმა მხატვრად გვაჩვენა თავი ე. სოხაძემ რუსული მუსიკალური კლასიკის შესრულებაში. საინტერესოდ და მოფიქრებულად გაისმოდა რომანსები: რიმსკი - კორსაკოვისა — „ჰქრება ღრუბელთა მფრინავი ზოლდე“ და „ოქტავა“, ჩაიკოვსკისა — „მას ისე ვუყვარდი“, „დღე რომ მეფობს“ და განსაკუთრებით მისი სიმღერა „მე რომ მინდვრად ბალახზე ვიყავი“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა“.

მუხრანის ქუჩის გაფართოება

მომავალი წლის გაზაფხულიდან თბილისის საბჭო შეუდგება მუხრანის ქუჩის გაფართოებას. ქუჩის მარცხენა მხარეზე გადაწყვეტილია ძველი კვარტალის აღება და ქუჩის გაფართოება 20 მეტრით. აპრილიდან დაიწყება ამ მხარეზე არსებული ძველი შენობების დანგრევა, ხოლო მობინადრეთა ახალ ბინებში გადაყვანა (გადასაყვანია 417 მობინადრე) უნდა დამთავრდეს აპრილის ბოლომდე.

გაფართოების შემდეგ მუხრანის ქუჩის ადგილას მოეწყობა 30 მეტრის სიგანე პროსპექტი. სამუშაოთა ორგანიზაცია იმგვარადაა გათვალისწინებული, რომ საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობა არ დაბრკოლდეს.

კესხოველის სახლში

ყოველდღე ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები ტარდება დილის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 8—61—68.

ქვანახშირი და მარგანეცი

29 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	773	76,4
ტყვარჩელი	733	740	101
ჭიათურა	—	—	—*)

*) ჭიათურიდან რედაქციას 29 დეკემბრის ცნობა არ მიუღია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ი. მჭედლიშვილი

შირაქში

ზაფხულის მიწურულში დაიძვრება თრიალეთიდან თეთრი მდინარე და ზღვად ჩაგუბდება ხოლმე შირაქში. ეს ცხვარი და ძროხაა, სახელმწიფოს უდიდესი დოვლათი, სიმდიდრე, ხალხის სიხარულისა და ბედნიერების წყარო. ეს თეთრი მდინარეა, ტანთ რომ გვაცმევს, ეს თეთრი მდინარეა, რძისა, კარაქისა, ყველისა და ერბოს ნაკადად რომ მოდის შირაქიდან მაღაზიებში, საშაქარლამოებში, შალეულობისა და ტყავეულობის ქარხანა-ფაბრიკებში. ეს მდინარეა ჯანმრთელობისა, რომელმაც მოსპო და დაახრჩო შიმშილი, სიშიშვლე და სიღარიბე.

სწორედ ამიტომ მიაქცია დიდი ყურადღება და უსაზღვრო მზრუნველობით ეპყრობა საბჭოთა ხელისუფლება მესაქონლეობას..

წითელწყაროდან სამხრეთისაკენ რომ დაეშვები, თვალწინ გადაგეშლება პატარა და დიდი შირაქის მიდამოები, ზოგან ხელისგულივით სწორე და ვაკე მინდვრებით, ზოგან ჩამწკრივებული ბორცვებით და გორაკებით, და იქ, სადაც ორი მდინარე—იორი და ალაზანი ერთმანეთს ერთვიან, ორივე მდინარის ნაპირებზე ჩამწკრივებულია მწყემსების ბინები.

1938 წლის მიწურულია. შირაქის მინდვრებზე, ყოველი მწყემსი, მოხუცი თუ ახალგაზრდა აბარებდა ძველი წლის ანგარიშებს.

.. განახლებულია შირაქი... უცქერით სიხარულით მის ახალ სახეს, მის ახალ ადამიანებს, სადღაა ძველი მწყემსობა, მინგრეულ - მონგრეული გომურები და მიწიდან ამოშვერილი ფარდულები ფარეხებისა.

ძველათ შიგ ფარეხებშივე ჰქონდათ მწყემსებს სადგომები თავისი მხრჩოლავი ბუხრებით, რომელთა ბოლისგანაც იხრჩობოდა, როგორც მწყემსი, ისე საქონელი. მსხვილფეხა საქონლის გომებს ძირი მიწისა ჰქონდათ. თითქმის ყველგან უსუფთაობა სუფევდა. ხშირად იმსიღრმე ორმო გაჩნდებოდა ხოლმე ფარეხის შუა გულში, რომ ღამე, ბნელაში ცხვრები შიგა კვდებოდნენ.

დღეს კი სოციალისტური შრომის კულტურა სრულუფლებიანი მასპინძელი გამხდარა შირაქში.

აი ელდრის საბჭოთა მეურნეობა.

მივუახლოვდი თუ არა მას, ყოჩების ფარეხთან ერთი ქალაქურად ჩაცმული ახალგაზრდა დამხვდა: სუფთა ტანსაცმელი კოხტად ედგა ტანზე.

— სად არიან მწყემსები?—ვკითხე მას.

— აი, აქა ვარ. რა გნებავთ?—მიპასუხა მან.

— შენ როგორი მწყემსი ხარ, ბანკის დირექტორსა ჰგევხარ. ან კომბალ-კავი სად არის შენი, ან ჯინჯილიანი ქუდი, ან ფუნჯებიანი ტოლაღები, ან შევერცხლილი ხანჯალი ჩოხა-ახალუხზე?

ახალგაზრდას გაეცინა და მითხრა:

— ახლა სხვა დროა. მწყემსებიც ხალხში გამოვედით..

შემდეგ გამოგვყვა იგი თოხლის ბინაზე. რადგანაც ბინდ-ბუნდი იყო, ცხვარი ფეხდაფეხ მოგვყვა ბინაში.

ბიჭებმა ცხვარი ბაკში შერეკეს, შემდეგ ქოხში რამოდენიმე საოჯახო ლამფა აგვიანთეს, ხოლო თვითონ სამხედრო ფარნებით დაიწყეს ფარაში სიარული დასათვალიერებლად.

ფარეხის თავზე, რომლის კედლებიც კარგა ზევით არის აცილებული მიწას, წევს უზარმაზარი ყურებდაჭრილი ლეგა ძაღლი. რომელიც მარტო ერთის შეხედვით გაუხეთქს მტერს გულს..

ცხვარი დაათვალიერეს და ბიჭები მოგროვდნენ ქოხში..

დაიწყეთ ბაასი.

— თუშური ცხვრის მხოლოდ ორი ფარა და არის ელდრის მეურნეობაში—მეუბნება მოხუცი სტახანოველი ვანო თულაშვილი—დანარჩენი სულ მეტისია..

ამჟამად ელდრის საბჭოთა მეურნეობას ჰყავს 42000 სული ცხვარი, წელს ამ მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 980000 ლიტრი რძე, 84.000 ნაპარსი მატყლი და 5000 სული ცხვარი ხორცის დამზადებას.

— როგორა დოლის საქმე? — ვეკითხები მათ.

— ახალმა წელმა უნდა გადააჭარბოს წარსულ წლებს, რადგან წელს ასი პროცენტით არის განაყოფიერებული დედალი ცხვარი და დოლისათვის სამზადისიც კარგია. უკვე მზადა გვაქვს ფიჩხი და ყარღო.

— სტახანოველები არა გყავთ?

— როგორ არა, — მიპასუხებენ ისინი და მაწერინებენ ამ საბჭოთა მეურნეობის სახელოვანი ადამიანების გვარებს.

მერე მიამბობენ, თუ როგორი მზრუნველობით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლება, როგორც თვით მეცხვარეობას, ისე მეცხვარეთა პირად ცხოვრებას. „გარდა ჯამაგირისა და ჩაცმა-დახურვისა, ყოველივე გვეძლევა—ფართალი, ქალამანი და სხვ.

ზრუნავენ მწყემსთა კულტურული დონის ამაღლებაზეც.

— კანტორაში სამკითხველო გვაქვს, — მეუბნებიან, რომელ წიგნსაც კი მოვიკითხავთ, მოიტანენ. ფანქარი, ქაღალდი ყოველთვის გვაქვს და ხანდახან კინოსაც გვაჩვენებენ ხოლმეო.

მათი ჯანმრთელობის დასაცავად ექიმიც აქვეა. და შუა ბოძზე ჰკიდია წიგნაკი, სადაც ექიმის მიერ არის ყოველი ორი დღის შემდეგ ჩანაწერი ბინის მდგომარეობაზე.

შუაღამემდე ვიბაასეთ, შემდეგ ვახშამი გავშალეთ, სადღეგრძელოები ვთქვით, ბევრი ვიცინეთ წარსულის მოგონებებზე და ბოლოს დავიძინეთ.

○

ვნახე კოლმეურნეების ბინებიც. კოლმეურნეობები უმთავრესად ალაზნის პირას ქვემო და ზემო-ქედის აყოლებაზე არიან დაბინავებულნი.

შესანიშნავი შენობა აქვს იქ თოხლისთევის ბოდბისხევის კოლმეურნეობას. შენობა ქვიტკირისაა, დახურულია კრამიტით და იატაკი ცემენტისა აქვს. იატაკი დაღარულია ისე, რომ ერთი წვეთი სისველე არ დადგება ზედ. ამაზე უკეთესია სადოლე ფერმა.

აქვე ახლო არის კოლმეურნეობა „შრომის“ (წითელწყაროსია) მეკამეჩეობისა და მეღორეობის ფერმა.

უზარმაზარი კამეჩები ჰყავთ.

ფერმაში 370 სული კამეჩია და 137 ღორი, მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ხელმძღვანელობს ამ ფერმას. ჰყავთ მუშები და ლაბორანტი-დოცენტი.

წარსულ წელს ამ კამეჩობას ჰყვანდა 80 სული ნამატი, მომავალ წელში, მწყემსების ვარაუდით უნდა იქნეს 110.

ყოველი წლის ნამატი რჩება ადგილობრივ, ხოლო ხანში შესული საქონელი ჰბარდება ზოგი დამზადებას, ზოგი კოლმეურნეობას შინამოსახმარებლად და ზოგიც მუშა-საქონლად.

უსაზღვროდ მადლიერნი არიან მწყემსები თავისი დღევანდელი დღისა, საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა.

— ჩვენც—დასძინეს ბოლოს მწყემსებმა, —ვაფასებთ მათს ზრუნვას და მიუხედავად იმისა, რომ გვალვიანი წელი იყო, წელს მარტო ჩვენ სახელმწიფოს ჩავაბარეთ 20 ტონა რძე, 8 ტონა ხორცი, ხოლო კოლმეურნეობას 1 ტონა კარაქი და 1 ტონა ყველიო.

გასაოცარი სისუფთავეა მეღორეობის და მეკამეჩეობის ფერმებში. ამასთანავე მშვენიერი მოწყობილობა. საქონელს ზამთრისა ეტყობა, რომ შეჰხედავ, გეგონება, მთიდან ახლა ჩამოსულაო.

ყოველ კამეჩს საკუთარი ბაგა აქვს და საკუთარი საწოლი. ყველა თავის ბაგაზე აბია.

მწყემსებმა საღამოს საქონელი რომ დააბინავეს, მშვენივრად მოწყობილს ბინაში მოიყარეს თავი. გაჩაღდა მხიარულება.

— ბიჭებო, ჩონგური გექნებათ, გამაგონეთ რამე კარგი ან ძველ დროზე ან ახალზე,—მივმართე მათ.

— რასა ბრძანებთ, ამხანაგო, აი პატეფონი, ჩონგურს, როგორ გაკადრებთ,—სთქვა ლევან ყოჩიაშვილმა და გადმოიღო თაროდან კოხტად შენახული პატეფონი.

— კაცო, პატეფონი თბილისში არ მეყოფა? ერთი ჩონგურის ხმა გამაგონეთ.

ერთის მაგივრად სამი ჩონგური მოიტანეს. მომართა ყოჩიაშვილმა და გრძელი შაირი იმღერა. ამან რომ გაათავა ახლა დათიკო გოგილაშვილმა აიღო ჩონგური, და დასძახა:

„ავკრამ, ჩამოვკრამ ჩონგურსა,
შიგდაშიგ შავიმღერებო —
თქვენამც კი გენაცვალებით,
შირაქის მინდორ-სერებო.

ძველათ ჭირ-ვარამ ნაჭმევი
თქვენს მკერდზე დავისვენებო,
ჩემს ნეტარება-სიხარულს
სუყველას მოვახსენებო“..

და სხ.

ამან რომ გაათავა, ახლა აბრამ ბოსტაღანაშვილს გადასცეს ჩონგური, და ასე ჯერჯერით მღერიან შირაქის ბიჭები სიხარულზე, სიყვარულზე, ბედნიერ და საამურ ცხოვრებაზე.

დღევანდელი მწყემსების ბინებში, გარდა ქალაქის კულტურისა, რომელიც წიგნებისა და პატეფონის სახით აწყვია მათს თაროებში, არის მათი საკუთარი შემოქმედებაც, რომელშიც არა მარტო თავისი გულისწადილია გამოთქმული, არამედ საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი კრიტიკაც; საზოგადოებრივი შეფასება, წყრომა და აღტაცება.

მრავალფეროვანია და უხვი მწყემსების შემოქმედება ისევე, როგორც მრავალფეროვანია მათი ცხოვრება.

ყოველ წელს ახალს მოელიან, ყოველ წელს განახლებული ხალისით ცდილობენ მისცენ ქვეყანას მეტი, წინ წასწიონ ცხოვრება, ჩონგურზე დამღერებით. დაჰგმონ ცუდი და შეაქონ კარგი და ასეთი მრავალფეროვანი შირაქით მიულოცონ საბჭოთა ქვეყანას ახალი წელი, ახალი ცხოვრება, ახალი გამარჯვება.

◆

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

1/I	მუდმ. ადგ. ტალონი № 62 აბ. № 4 ქეთო და კოტე
2/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 63 აბ № 6 აიდა
4/I	მუდმ ადგ. ტალ. № 64 აბ. № 7 ესმერალდა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938-39 წ. სეზონი

2/I	წარმოდგენა 86 ფოლადაური
3/I	წარმოდგენა 87 უდანაშაულოდ დამნაშავენი
4/I	წარმოდგენა 88 სულელი

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღ. 8 საათზე

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

1/I	კოლმეურნის ქორწინება
2/I	ურიელ აკოსტა
3/I	კოლმეურნის ქორწინება

1939 წლის 1 კვარტალის მუდმივ ადგილებზე ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიის მიერ 1 საათიდან 4 საათამდე. იმ აბონენტს, რომელსაც დაფარული არ ექნება მორიგი გადასახდელი, წიგნაკები არ მიეცემა. მიმღებმა თან უნდა იქონიოს მინდობილობა.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
საზამთრო არდადეგებთან დაკავშირებით დღის წარმოდგენები

1 იანვარს	კოლმეურნის ქორწინება
5 იანვარს	შური
6 იანვარს	ფიგაროს ქორწინება
11 იანვარს	სამანიშვილის დედინაცვალი
12 იანვარს	ნაპერწკლიდან

დასაწყისი დღის 12 საათზე. ბილეთების შეძენა შეიძლება ამთავითვე თეატრის სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ბილეთები 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

დაკარგულია ლაგოდეხის რაიგანათლების განყოფილების მრგვალი ბეჭედი. ჩაითვალოს გაუქმებულად.
22515

საქ. ზოოვეტერინარული ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია
საკონსულტაციო ბიურო
მეცხოველეობისა და ვეტერინარიის საკითხებზე

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტექიმებს, აგრონომებს და ყველა მსურველებს შეუძლიათ მიმართონ აღნიშნულ ბიუროს როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად მათთვის საინტერესო საკითხების გასაშუქებლად.

წერილობითი და ზეპირი კონსულტაციის მიღება იწარმოებს თბილისი, მარის ქუჩა № 17, მესამე სართული, ოთახი № 11, ყოველდღე 11-დან 3 საათამდე.

412 **დირექტორი ნ. მესხი.**

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—255